# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 10 მარტი 2006 №53 (2675) ფასი 50 თეთრი




## აშვეთიას რუბინიკონი

ინტერვიუ რუბინის ახალ ქართველთან 3



## ჩემი ბიჭები ჩემთან

დინამომ ბურდული და დარასელია დაიბრუნა 4

# რეცეპტი საქართველოს ნაკრებისთვის: ერთი აბი და სამი ბომბი სამ თვეში



უკრაინისგან ცხრაგზის დაწუნებული კალენდარი, როგორც იქნა, შედგა — გუშინ შვეიცარიულ ნიონში უეფამ დაადგინა, რადგან თქვენ ვერ შეთანხმდით, მე მოგარიგებთო.

მაშ ასე, უეფას ვერდიქტით, 2008 წლის ევროჩემპიონატის შესარჩევი ციკლი 2 სექტემბერს საფრანგეთთან საშინაო მატჩით უნდა დაგვეწყო, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფარერელებს შეუთანხმდა, რომ კუნძულზე წლეულს 16 აგვისტოს ეთამაშოს და ახლა სხვა გუნდების დასტურსლა ელის.

საქმე ისაა, რომ უეფას განრიგით ფარერებთან სტუმრობა გაისად ნოემბერში გვიწევდა, ამ დროს კი იქ ყინვა და თოვლი იცის.

ერთი სიტყვით, კლაუს ტოპმიოლერის ევრო-დებიუტი ჯგუფის აუტსაიდერთან შედგება, მერე კი სამი ბომბა-მატჩი გველის — საფრანგეთსაც და იტალიასაც წლეულს შინ ვილებთ, ამათ შუაში კი უკრაინას ვსტუმრობთ.

„პარიზში მიღებული კალენდარი ჩვენთვის იდეალური იყო, თუმცა არც ამ ვარიანტით ვართ უკმაყოფილო“ — ასეთი იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ნოდარ ახალკაცის კომენტარი.

კლაუს ტოპმიოლერთან ინტერვიუს კი მეორე გვერდზე წაიკითხავთ...

16 აგვისტო, 2006 წელი
ფარერები — საქართველო

2-3 სექტემბერი, 2006 წელი
საქართველო — საფრანგეთი

5-6 სექტემბერი, 2006 წელი
უკრაინა — საქართველო

10-11 ოქტომბერი, 2006 წელი
საქართველო — იტალია

24-25 მარტი, 2007 წელი
შოტლანდია — საქართველო

27-28 მარტი, 2007 წელი
საქართველო — ფარერები

2-3 ივნისი, 2007 წელი
ლიტვა — საქართველო

5-6 ივნისი, 2007 წელი
საფრანგეთი — საქართველო

8-9 სექტემბერი, 2007 წელი
საქართველო — უკრაინა

13-14 ოქტომბერი, 2007 წელი
იტალია — საქართველო

16-17 ოქტომბერი, 2007 წელი
საქართველო — შოტლანდია

20-21 ნოემბერი, 2007 წელი
საქართველო — ლიტვა

# დღეს ნათესავი უცხოსგან არ გაირჩევა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ბარსელონა
იუვენტუსი
ვილიარეალი
მილანი
არსენალი
ბენფიკა
ლიონი
ინტერი ან აიაქსი

დღეს, ჩვენი დროით 15 საათზე, პარიზში გაიმართება ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის წილისყრა, რომელსაც ცხრა კლუბის წარმომადგენლები დაესწრებიან.

რატომ ცხრა? მეოთხედფინალში ხომ რვა გუნდი გავიდა? იმიტომ, რომ „ინტერი“ „აიაქსთან“ საპასუხო მატჩს მომავალ კვირაში თამაშობს და დღეს ამ გუნდების შეფებიც პარიზში იქნებიან.

არავითარი განთესვა — ერთი ქვეყნის გუნდები შეიძლება ერთმანეთს დაეჯახონ. წილისყრაზე ისიც გაირკვევა, მეოთხედფინალის შემდეგ ნახევარფინალში ვინ ვის შეიძლება შეხვდეს.

პარიზში ჩემპიონთა ახალი თასის პრეზენტაციაც გაიმართება. თასს, რომელსაც ლეგენდარული ფრანსისკო ხენტო წარადგენს, წინა 50 მფლობელი გუნდის სახელები ამშვენებს.





# ალარც ერთი ქვეყნის ალარც ერთი სურვილი

## ტოპმიოლერმა უკრაინას ვერ გაუგო

**როდესაც საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს დავუკავშირდით, შვეიცარიაში კენჭისყრა რამდენიმე წუთის დასრულებული იყო. ბუნებრივია, ყველაზე მეტად ტოპის პირველი რეაქცია გვაინტერესებდა...**

— ალბათ, გახსოვთ ჩვენი პარიზული შეხვედრები და რამდენიმედღიანი მსჯელობა კალენდართან დაკავშირებით. მაშინ ჩვენი ჯგუფის შვიდმა ქვეყანამ ვერ შეძლო საერთო აზრამდე მისვლა. უფრო სწორად, მხოლოდ უკრაინა იყო წინააღმდეგი, დღეს კი მივიღეთ კალენდარი, რომელშიც ალარც ერთი ქვეყნის ალარც ერთი სურვილი ალარ არის გათვალისწინებული.

**— რომ შეგეძლოთ, რომელი შეხვედრის თარიღს ან ადგილს შეცვლიდით?**

— ჩემთვის ყოველმხრივ მისაღები იქნებოდა, თუ პირველ შეხვედრაში ფრანგებთან სტუმრად ვითამაშებდით, მაგრამ ახლა ამაზე საუბარს ალბათ აზრი ალარ აქვს.

**— ვიცით, რომ გსურდათ, 2006 წელს მხოლოდ ორი შეხვედრა გაგვემართა. უეფას კალენდრის მიხედვით კი, ჯერ ფრანგებს ვმასპინძლობთ, მერე უკრაინაში სტუმრობაა და წლევანდელ მესამე მატჩსაც თბილისში იტალიელებთან ვმართავთ...**

— წლეულს სამს კი არა, ოთხ შეხვედრას გავმართავთ. კალენდრის მიხედვით, ფარერებთან გაისად ნოემბერში უნდა გვეთამაშა. ამ დროს იქ საშინელი ყინვა და თოვლია, რაც თამაშს შეუძლებელს ხდის. ამიტომ უკვე შევთანხმდით, რომ მათ 2006 წლის 16 აგვისტოს შესარჩევი ციკლის პირველივე შეხვედრაში ვესტუმრებით.

**— ფრანგებისთვის საქართველოს ნაკრებთან მატჩი შესარჩევ ციკლში პირველი იქნება. ასევე თავის პირველ შეხვედრას გამართავს ჩვენთან მსოფლიოს ჩემპიონატის კიდევ ერთი მონაწილე უკრაინა. ეს რამდენად ხელსაყრელი ფაქტორია?**

— წინასწარ რამეზე ვარაუდის გამოთქმა ძნელია. ორივე ნაკრები ხომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს და არავინ იცის, როგორ ფორმაში იქნებიან ისინი გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ.

**— ერთიც: მალტაზე ნანახი ფეხბურთელებიდან ალბანეთში რამდენის წაყვანას აპირებთ?**

— საბოლოო სახე სიას ჯერ არ მიუღია. ამის თაობაზე მომავალ კვირაში, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ვისაუბრებ. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან დამწყვიტა გული მალხაზ ასათიანის ტრავმამ.

**ნინო სილაგაძე**
**გიორგი ნოზაძე**

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი.

# კალენდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მეცამეტე ტურის გადმოტანილი მატჩი**

16 აგვისტო, 2006 წელი

ფარერები — საქართველო

**პირველი ტური**

2-3 სექტემბერი, 2006 წელი

საქართველო — საფრანგეთი
იტალია — ლიტვა
შოტლანდია — ფარერები

**მეორე ტური**

5-6 სექტემბერი, 2006 წელი

უკრაინა — საქართველო
ლიტვა — შოტლანდია
საფრანგეთი — იტალია

**მესამე ტური**

7-8 ოქტომბერი, 2006 წელი

იტალია — უკრაინა
შოტლანდია — საფრანგეთი
ფარერები — ლიტვა

**მეოთხე ტური**

10-11 ოქტომბერი, 2006 წელი

უკრაინა — შოტლანდია
საქართველო — იტალია
საფრანგეთი — ფარერები

**მეხუთე ტური**

24-25 მარტი, 2007 წელი

შოტლანდია — საქართველო
ლიტვა — საფრანგეთი

**მეექვსე ტური**

27-28 მარტი, 2007 წელი

უკრაინა — ლიტვა
საქართველო — ფარერები
იტალია — შოტლანდია

**მეშვიდე ტური**

2-3 ივნისი, 2007 წელი

საფრანგეთი — უკრაინა
ლიტვა — საქართველო
ფარერები — იტალია

**მერვე ტური**

5-6 ივნისი, 2007 წელი

საფრანგეთი — საქართველო
ლიტვა — იტალია
ფარერები — შოტლანდია

**მეხუთე ტურის გადატანილი მატჩი**

22 აგვისტო, 2007 წელი

ფარერები — უკრაინა

**მეცხრე ტური**

8-9 სექტემბერი, 2007 წელი

საქართველო — უკრაინა
შოტლანდია — ლიტვა
იტალია — საფრანგეთი

**მეათე ტური**

11-12 სექტემბერი, 2007 წელი

უკრაინა — იტალია
საფრანგეთი — შოტლანდია
ლიტვა — ფარერები

**მეთერთმეტე ტური**

13-14 ოქტომბერი, 2007 წელი

შოტლანდია — უკრაინა
იტალია — საქართველო
ფარერები — საფრანგეთი

**მეთორმეტე ტური**

16-17 ოქტომბერი, 2007 წელი

უკრაინა — ფარერები
საქართველო — შოტლანდია
საფრანგეთი — ლიტვა

**მეცამეტე ტური**

17-18 ნოემბერი, 2007 წელი

ლიტვა — უკრაინა
შოტლანდია — იტალია

**მეთოთხმეტე ტური**

20-21 ნოემბერი, 2007 წელი

უკრაინა — საფრანგეთი
საქართველო — ლიტვა
იტალია — ფარერები

# საქართველო: უეფამ მისალებში მიიღო

## ეროვნულის ევროული სამზადისიც იწყება

გვეშველა. ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის კალენდარი შედგენილია. ის, რაც ვერ შეძლეს შვიდი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა წარმომადგენლებმა, დაახლოებით ნახევარ საათში მოაგვარა უეფამ.

გეხსომებათ, პარიზული შეხვედრა უნაყოფო გამოდგა, რადგან უკრაინელებმა ვეტო დაადეს კალენდარს, საფრანგეთი პრივილეგირებულ მდგომარეობაშია და ეს ხელს არანაირად არ გვაძლევსო. ამავე მიზეზით აღმოჩნდა უნაყოფო გუშინ დილით გამართული ბოლო კონსულტაციებიც, რომელიც კენჭისყრას უძღოდა. თბილისის დროით 17 საათზე კი ყველა დელეგაციამ კალათიდან თითო ბურთულა ამოიღო, შვიდივე ქვეყანა დაინომრა და კალენდარიც მზად იყო.

გუშინვე ვწერდით, რომ მხარეებს კიდევ ექნებოდათ კალედარში უმნიშვნელო ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა. ქართულმა დელეგაციამ ამ შესაძლებლობით უკვე ისარგებლა და ფარერის კუნძულებზე 2007 წლის ნოემბერში გასამართი მატჩის 2006 წლის 16 აგვისტოსთვის გადმოტანაზე შეუთანხმდა მეტოქეს. ამ ცვლილების უმთავრესი მიზეზი ნოემბერში ფარერების მკაცრი კლიმატია, სავარაუდო ყინვითა და თოვლით. ესეც იქით იყოს, შესარჩევი ეტაპის დაწყება შეხვედრით, რომელშიც თავისუფლად შეგიძლია ჰამი ქულის დაგეგმვა, არ უნდა იყოს ურიგო გარანტი. თუმცა რადგან კალენდარი კენჭისყრით შედგა, მასში ნებისმიერ ცვლილებას ყველა ქვეყანამ უნდა მისცეს დასტური. პირველ ტურში საქართველო — ფარერების გადმოტანას ყველა დაეთანხმა გარდა ფრანგებისა, რომლებმაც პირველებმა დატოვეს უეფას შტაბბინა.

როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, ფრანგებთან პრობლემა არ უნდა შეგვექმნას და დასტურს ფაქსით მივიღებთ, ისევე როგორც უკრაინელები, რომლებმაც მეხუთე ტურიდან იმავ ფარერებთან მატჩი 2007 წლის აგვისტოსთვის გადაიტანეს. ფრანგების თანხმობის შემთხვევაში, კალენდარი იმ სახეს მიიღებს, რომელსაც აქ გთავაზობთ.

ჯერჯერობით ნაადრევია კალენდრის სიღრმისეული ანალიზი, საამისოდ დრო კიდევ ბევრი გვექნება, ჯერჯერობით კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს დავეთანხმოთ: „კალენდარი ჩვენთვის იდეალური შეიძლება არ არის, მაგრამ არც ისეთია, ციკლის ბოლოს წარუმატებლობა მას დაბრალდეს“.

ერთიც: ალბათ ფორსირებული ტემპით დაიწყება სარემონტო სამუშაოები ეროვნულ სტადიონზე — წლეულს ხომ თბილისში ჯერ საფრანგეთის, შემდეგ კი იტალიის ნაკრებები ჩამოდიან, „ეროვნულზე“ კი „მიხეილ მესხთან“ შედარებით 35 ათასით მეტი კაცი ეტევა...

**გიორგი ნოზაძე**

# აშვეთიას რუბინიკონი

## ვაგონიდან გადმომხტარი ქართველი



აი, ამბავი: საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი **მიხეილ აშვეთია** ყაზანის „რუბინში“ გადავიდა. მხარეები უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენ და კონტრაქტიც გუშინ ნაშუადღევს გაფორმდა. ამგვარად, „რუბინი“ ყველაზე ქართული გუნდი გახდა რუსეთში — ნუკრი რევიშვილის, გიორგი ქინქლაძის, ლაშა სალუქვაძის და ზურაბ არზიანის შემდეგ აშვეთია ყაზანელთა მეხუთე ქართველია. არადა, უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ მიხოს „ლოკომოტივის“ სარეზერვო გუნდში უნდა ეთამაშა...

აშვეთიას გუშინვე შევეხმიანეთ და, რა თქმა უნდა, ჯერ კონტრაქტის გაფორმება მივულოცეთ...

— როგორც იქნა, ყველაფერი კარგად დამთავრდა. უკვე რუბინელი ვარ და ახლა ისღა დამრჩენია, ფეხბურთის თამაშზე ვიფიქრო.

— **რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმე?**

— ერთწლიანი, ოღონდ გაგრძელების პერსპექტივით. ამას სეზონის ბოლოს გადავწყვეტთ.

— **ანუ „ლოკომოტივისგან“ უკვე თავისუფალი ხარ?**

— კი, „რუბინმა“ საბოლოოდ გამომისყიდა.

— **არადა, საქმე ისე იყო, ამ სეზონში „ლოკომოტივის“ სარეზერვო გუნდში უნდა გეთამაშა...**

— მართალია. ამაზე შეთანხმებულიც ვიყავი „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ბოლოწამს „რუბინის“ ვარიანტი გამოჩნდა და...

— **უკვე ჩავლილი ამბავია და, რომელი გუნდები გეპატიჟებოდნენ?**

— მოსკოვის „ტორპედო“ და იაროსლავლის „შინიკი“, თუმცა შეთანხმება ვერც ერთთან ვერ მოვახერხე.

— **და ალბათ არც ნანობ ამას...**

— რა თქმა უნდა, სად „ტორპედო“ და „შინიკი“ და სად „რუბინი“. ახლა ძალიან კმაყოფილი ვარ.

— **კი მაგრამ, მოსამზადებელი ეტაპი რომ ფაქტობრივად გაგიცდა?**

— მართალია, შეკრებაზე არ ვყოფილვარ, მაგრამ უვარჯიშებელიც არ ვარ. მოსკოვში ინდივიდუალური პროგრამით ვემზადებოდი. თან პრემიერლიგის დაწყებამდე დრო კიდევ არის.

— **ალბათ უკვე საქართველოს ნაკრებში დაბრუნებაზეც ფიქრობ...**

— რა თქმა უნდა. ძალიან მინდა, კლაუს ტოპმიოლერი მალე გავიცნო და ნაკრებს დავუბრუნდე.

**ქახა შალამბერიძე**

# გამოწვევა, რომელსაც თავსატეხი ჰქვია

## მინგე გერმანიაში საქართველოს აქებს

კლაუს ტოპმიოლერზე ლაპარაკიც ზედმეტია და რალფ მინგეც რომ ძალიან პოპულარული პიროვნებაა გერმანიაში, განსაკუთრებით კი, მშობლიურ დრეზდენში, ესეც მოგეხსენებათ.

ერთ-ერთ დრეზდენულ გაზეთთან ინტერვიუში საქართველოს ნაკრების თავკაცის თანაშემწე ამბობს, რომ საქართველო ტალანტების ქვეყანაა...

„მათ ბევრი ლეგიონერი ჰყავთ, რამდენიმე მათგანმა სახელიც გაითქვა ევროპაში, თუმცა ყველამ ვერა. რაც უნდა იყოს, საქართველო პატარა ქვეყანაა. სამაგიეროდ, იცით, რა ტრადიციები აქვთ? 1981 წელს საქართველოს საუკეთესო კლუბმა თბილისის „დინამომ“ „კარლ ცაისს“ თასების თასის ფინალში 2:1 მოუგო“.

რალფ მინგე გერმანელებს უყვება, რომ ქართველებს ძალიან უყვართ ფეხბურთი...

„თბილი ხალხია. მე და კლაუს ტოპმიოლერი თავად ქვეყნის პრეზიდენტმაც კი მიგვიპატიჟა“.

მინგე იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრებში მან სამედიცინო პროგრამას და ინფრასტრუქტურასაც ზოგადად უნდა მიხედოს, ამისთვის კი წელიწადში 120-150 დღე ეყოფა. ამასთან, ჰერ რალფი ამბობს, რომ 21 და 19-წლამდელთა ნაკრებებთანაც უშუალო შეხება ექნება.

„დრეზდენში ფსიქოლოგიაში მომზადებასაც ვაგრძელებ, რომლის შესწავლა ოქტომბერში დავიწყე. ჩვენ ორი წლით კი ვართ საქართველოში, მაგრამ არ გამოვრიცხავ, თანამშრომლობა უფრო დიდხანს გაგრძელდეს. ჩემთვისაც და კლაუს ტოპმიოლერისთვისაც საქართველოს ნაკრები გამოწვევაა, ახალი გამოცდილების შემძენია. პირადად მე ყოველდღიურად აღარ მიწევს ფეხბურთელებთან ყოფნა, მაგრამ ყოველდღიურად თავს ვიტეხ, როგორ მივაღწიო წარმატებას. წარმოუდგენელია, რა მოხდება საქართველოში, როცა საფრანგეთთან და იტალიასთან მოგვიწევს თამაში“.



**ილია ნანობაშვილი**



კახა კალაძემ (მარჯვნივ) მიხაელ ბალაკს და მის თანაგუნდელებს გასაქანი არ მისცა

# პრემიერ-ზარი

## კალაძემ ბაიერნი ბერლუსკონის მიუძღვნა

**გუშინწინდელი** „მილან“ — „ბაიერნის“ 4:1-ის შემდეგ იტალიელთა ქართველი მცველი კახა კალაძე ჟურნალისტების ალყაში მოექცა. მართალია, კახასთან ინტერვიუ გუშინდელ „სარბიელში“ შემოგთავაზეთ, თუმცა ალბათ ისიც საინტერესოა, რა უთხრა მან ჩვენს უცხოელ კოლეგებს...

— „ბაიერნის“ გაგდება კარგად გვაქვს დაცდილი. 2003 წელსაც ასე მოხდა და მაშინ ჩემპიონთა თასი მოვიგეთ. ვეცდებით, ახლაც იგივე გავიმეოროთ...

...თამაშამდე სილვიო ბერლუსკონიმ სათითაოდ ყველა ფეხბურთელს დაგვირეკა, გაგვამხნევა და წარმატება გვისურვა. ეს მოგებაც მას მივუძღვენით, რადგან იგი ჩვენი ყველაზე დიდი ქომაგია...

...„ბაიერნთან“ ძალიან კარგად ვითამაშეთ და ვფიქრობ, ამ მომენტში „მილანი“ მსოფლიოში საუკეთესოა. ამას ჩემპიონთა ლიგაშიც დავამტკიცებთ და სერია A-შიც...

...ვერ ვიტყვი, რომ გოლი დიდას შეცდომის გამო გავუშვით. საერთოდაც, მან ძალიან კარგად ითამაშა და რამდენიმე ურთულესი დარტყმაც მოიგერია.

**ქახა შალამბერიძე**

# ოვალურმა მრგვალი ვაკეში გადაისროლა

**მე-18** ტურის მთავარი მატჩი „დინამო“ — „ზესტაფონი“ „მიხეილ მესხზე“ გაიმართება. მიზეზი იოლი მისახვედრია: იმავ დღეს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასზე პორტუგალიას მასპინძლობს „ეროვნულზე“.

დინამოურ-ფეროულ ჯახს ტელეკომპანია „იმედი“ პირდაპირი ეთერით გადასცემს.

ამ ინფორმაციის გარდა, პროფლიგის პრესსამსახურმა გუშინ გამართული სადისციპლინო-ტექნიკურ კომიტეტზე გამოტანილ ვერდიქტებზეც გვითხრა: ბოლნისის „სიონი“ 100 ლარს გადაიხდის წინა ტურის მატჩის ვიდეოფირზე არგადაღებისთვის; 100 ლარით შეითხელებს ჯიბეს „თბილისიც“, რომელსაც გასახდელები და საშხაპეები არ ჰქონდა წესრიგში; „სოხუმის“ ფეხბურთელი ირაკლი ჯანელიძე 100 ლარით და ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დაჯარიმდა; თბილისის დინამოელი კახა მახარაძეც ორ თამაშს გამოტოვებს, ოღონდ 300 ლარს გადაიხდის; „კოლხეთის“ ჯონი შალამბერიძე და თემურ ფარულავა, „თბილისის“ ირაკლი ჟღენტი და „ბორჯომის“ ედიკ საჯაია კი თითოთამაშიანი დისკვალიფიკაციით და 50-50 ლარით დაისაჯნენ.

**ილია ნანობაშვილი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

**ჩვენი მეტოქე**

# ლიტვამ მუნდიალამდე მუნდიალელები შეიგულა

**საქართველოს** ნაკრების მეტოქე ლიტვამ ორი სპარინგ-მეტოქე მოიძია — 2 მაისს ალგიმანტას ლიუბინსკასის გუნდი ვარშავაში პოლონეთს შეხვდება, 3 ივნისს კი გერმანიაში ეთამაშება იაპონიას.

პოლონეთიც და იაპონიაც მუნდიალისთვის ემზადებიან, ასე რომ, ლიტვა მართლაც ძლიერად მუშაობს, რათა ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლს სრულყოფილი ფორმით შეხვდეს.

შეგახსენებთ, ბალტიისპირელებმა ერთი კვირის წინ ალბანეთის ნაკრებს სტუმრად 2:1 მოუგეს.

**ლუკა თალაკვაძე**



# ჩემი ბიჭები ჩემთან

## დინამომ ბურდული და დარასელია დაიბრუნა

*გუშინ გადაწყდა, რომ თბილისის „დინამო“ კიდევ ორ ფეხბურთელს დაიმატებს, უფრო სწორად, დაიბრუნებს — ლადო ბურდული და ვიტალი დარასელია „დინამოში“ სეზონის ბოლომდე დარჩებიან.*

*თბილისელები ახლა ვლადიკავკაზის „ალანიას“ თანხმობას ელიან და შესაძლოა, მათ ხვალვე, „ზესტაფონთან“ ითამაშონ. ბურდულისა და დარასელიას დროებით განთავისუფლების ფურცლები კი „დინამოს“ „ალანიასგან“ გუშინ უნდა მიეღო, მაგრამ ტექნიკური მიზეზებით ვლადიკავკაზიდან ფაქსის გამოგზავნა ვერ მოხერხდა...*

— დიახ, ჩათვალეთ, რომ მაისამდე „დინამოში“ ვითამაშებ. ეს-ესაა, კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება დამთავრდა, ყველაფერზე შევთანხმდით — გვითხრა გუშინ ლადო ბურდულმა — „ალანიას“ დროებით განთავისუფლების ფურცელი უკვე უნდა გამოეგზავნა, მაგრამ ჯერ ვერ მოახერხეს. ხვალ კი ალბათ ყველა საბუთი წესრიგში გვექნება და თუ „დინამომ“ საჩემპიონატო განაცხადში ჩემი შეყვანა მოასწრო, ალბათ, უახლოეს ტურშივე ვითამაშებ.

— გამოდის, „ალანიამ“ გაგანათხოვრა...

— „დინამოსა“ და „ალანიას“ ხელმძღვანელობამ უკვე ისაუბრეს. ოსები თანახმანი არიან, მაისამდე „დინამოში“ ვითამაშო.

— „დინამოში“ დაბრუნებამდე მოსკოვის ცესკას დუბლებთან რომ ვარჯიშობდი, ეგ ვიცით. მერე რა მოხდა?

— გაწბილებული დავრჩი, ცესკაში ჩემი გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, მაგრამ, ბოლო მომენტში „ალანიამ“ ჩემ სანაცვლოდ წარმოუდგენლად დიდი სატრანსფერო თანხა მოითხოვა... ცესკას დუბლებთან ერთად სოჭში ათდღიან შეკრებაზე ვიყავი, მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა ასე მირჩია, ფორმის აღსადგენად ჯერ დუბლებთან ერთად მოემზადე, შემდეგ კი ძირითად გუნდს ისრაელში შემოუერთდიო. სოჭში მართლაც ძალიან კარგად მოვემზადე. ვალერი გაზაევსა და ცესკას პრეზიდენტს დუბლების მწვრთნელი რამდენჯერმე ჩემ თვალწინ ესაუბრა და უთხრა, ბურდული მზად არისო. ბილეთიც ამიღეს და მოსკოვის გავლით ისრაელში მივდიოდი, როცა შევიტყვე, რომ „ალანიას“, რომელსაც ლიცენზიის ჩამორთმევა და ლიკვიდაცია ელოდა, რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ვალები გადაუვადა და პირველ დივიზიონში თამაშის უფლება მისცა. ამის შემდეგ კი ვლადიკავკაზელებს მადა გაეხსნათ და ცესკას უსაშველოდ დიდი თანხა მოთხოვეს. არადა, იქამდე ყველაფერი კარგად იყო, „ალანიას“ ლიცენზიას ჩამოართმევდნენ, ფეხბურთელებს კი კონტრაქტები ავტომატურად გაგვიუქმდებოდა.

— მოკლედ, ცალი ფეხით ცესკაში იყავი...

— ჩემი ტრანსფერის ამბავი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მოსკოვიდან ისრაელში წასვლის ნაცვლად თბილისში დაბრუნებამ მომიწია. არადა, ხალხი უკვე მილოცავდა ცესკაში გადასვლას.

— „დინამოში“ კი უპრობლემოდ დაბრუნდი...

— ეს მწვრთნელის და ხელმძღვანელობის სურვილი იყო და საწინააღმდეგო არც თავად მქონია რამე. თანაც, ჩემთან ერთად „დინამოში“ ვიტალი დარასელიაც დაბრუნდა. მისი საკითხიც დღეს გადაწყდა, ახლა „ალანიასგან“ ორივე დროებით განთავისუფლების ფურცლებს ველით.

— უკვე გადაწყვეტილი გაქვს, რომ მაისის შემდეგ „დინამოს“ ისევ დატოვებ?

— ვინ იფიქრებდა, რომ ისევ „დინამოში“ დავბრუნდებოდი?! მაგრამ დავბრუნდი. ამიტომაც წინასწარ არაფერს ვიტყვი. არ ვიცი, მაისის შემდეგ რა იქნება, ვნახოთ...

— ახალი მწვრთნელი უკვე გაიცანი?

— ანდრეი ჩერნიშოვი ადრე გავიცანი, სანამ ცესკაში წავიდოდი, ერთი კვირა ხომ „დინამოში“ ვვარჯიშობდი. კარგი ვარჯიშები აქვს, მცოდნე მწვრთნელია და ურთიერთობაშიც თბილია.

— შენ როგორ ფორმაში ხარ?

— სოჭიდან რომ ისრაელში მივდიოდი, მაშინ მართლაც ძალიან კარგად ვიყავი მომზადებული, მერე კი მოსკოვში სამი დღე გამიცდა, რასაც ახლა ვანაზღაურებ. „დინამოსთან“ ჯერ ერთხელ ვივარჯიშე, თუმცა ცოტაც და, ფორმას ბოლომდე აღვიდგენ.

**ჯობა ინასარიძე**

# ანდრეი ჩერნიშოვი: ჯერ ძიებაში ვართ

**თბილისის „დინამოს“ დღეს საუკეთესო პერიოდი არ უდგას, მაგრამ კლუბში და მის გარშემო მომხდარი ამბებიც კვლავაც აქტუალურია. „დინამო“ მიმდინარე სეზონში ჩემპიონობის და თასის მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კანდიდატია და ძალიან საინტერესოა, როგორ წარმოაჩენს გუნდი თავს რუსი მწვრთნელის, ანდრეი ჩერნიშოვის ხელში. ჩერნიშოვს გუშინ დილომში ვენვიეთ „დინამოს“ ბაზაზე...**



**— თქვენი ხელმძღვანელობით „დინამომ“ უკვე სამი თამაში ჩაატარა — რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— რუსულ პრესაში ძალიან ცოტა იწერება საქართველოს ჩემპიონატზე, ახლა კი ვფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატი უფრო ფართო გაშუქებას იმსახურებს. აქაური ჩემპიონატი ისეთი სუსტი არაა, როგორც რუსეთში ლაპარაკობდნენ და ამით, სიმართლე გითხრათ, გაკვირვებული ვარ. ვეთამაშეთ „თბილისს“ და „კახეთს“, ისინი ფიზმომზადების მხრივ მაღალ დონეზე არ დგანან, მაგრამ ბრძოლის სურვილი და ხასიათი აქვთ და მათთან თამაში ჩვენთვის ადვილი არ იყო. რაც შეეხება „ზესტაფონს“, კვიპროსულ შეკრებაზე რომ ვიყავით, ეს გუნდიც იქ იყო და ვიცოდი, რომ გამოცდილი ფეხბურთელებიც ჰყავდა და პერსპექტიული ახალგაზრდებიც. ვფიქრობ, „ზესტაფონი“ ერთ-ერთი ძლიერი გუნდია საქართველოში. ჩვენ კვიპროსზე ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ, მაგრამ მერე პატარ-პატარა საკადრო პრობლემები შეგვექმნა — ამბროხიომ ტრავმა მიიღო, მეგრელაძე კი ჩვენთან არ იყო. მოკლედ, ამ სამი თამაშით იმის თქმა შეიძლება, რომ წინ სერიოზული ბრძოლები გველის — „დინამოს“ წინააღმდეგ ისედაც ყველა განსაკუთრებული მონდომებით თამაშობდა აქამდე, ახლა კი, იმის გათვალისწინებით, რომ გუნდს უცხოელი მწვრთნელი ჰყავს, მეტოქეების მოტივაცია გაიზრდება.

**— რამდენიმე ექსპერიმენტი განახორციელეთ — გიორგი მერებაშვილი ნახევარდაცვიდან თავდასხმაში გადაწიეთ, ცენტრფორვარდი ლევან მელქაძე — მარცხენა ფლანგზე. რამდენად კმაყოფილი ხართ ასეთ ცვლილებებით?**

— შეკრებაზე ყოფნისას რამდენიმე პოზიციაზე არაერთი ფეხბურთელი გამოვცადეთ და ეს პროცესი ახლაც გრძელდება — ოპტიმალური ვარიანტის ძიებაში ვართ.

**— როგორ ფეხბურთი გინდათ, „დინამომ“ რომ ითამაშოს?**

— პირველ რიგში, შედეგიანი და თან ლამაზი. ეს ყველა მწვრთნელის ოცნებაა. უმთავრესი შედეგია, რასაც გუნდის თავდაჯერებულობა მოაქვს. სეზონისთვის სრულფასოვნად მოსამზადებლად დრო არ გვეყო, უამინდობამაც ხელი შეგვიშალა ტაქტიკურ მომზადებაში, შეკრებაზე გატარებული ორი კვირა კი ამისთვის ცოტაა. მაგრამ ჩემპიონატის მსვლელობისას გვაქვს იმის საშუალება, რომ ტაქტიკურად დავხვეწოთ გუნდი.

**— მოსკოვის „სპარტაკს“ და რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდით — თბილისის „დინამოც“ ამ გუნდების სტილით ითამაშებს?**

— „სპარტაკში“ ბევრის გაკეთება ვერ მოვახერხე, მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა რუსეთის თასი მოიგო. მაშინდელი „სპარტაკი“ ფსიქოლოგიურ „ორმოში“ იყო. შიდა კონფლიქტების გამო და მოკლე დროში სიტუაცია უკეთესობისკენ ვერ შევცვალეთ. რუსეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა კი ზოგიერთ მატჩში კარგი ფეხბურთი ითამაშა. მაშინ გუნდში ბევრი ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელი იყო. პორტუგალიის ნაკრებთან სტუმრად და შინაც ძალიან ლამაზად ვითამაშეთ და მსურს, „დინამოც“ იმ დონემდე მივიდეს.

**— თქვენი მწვრთნელობისას რომელი ფეხბურთელები დაწინაურდნენ რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში?**

— ასეთი ფეხბურთელი ჯერ იმ მწვრთნელებმა აღზარდეს, ბავშვთა ფეხბურთში რომ ჰყავდათ და მერე კლუბებმა. რა თქმა უნდა, ჩვენც ვცდილობდით, მათი საუკეთესო თვისებები გაგვეუმჯობესებინა. ანიუკოვი, კოლოდინი, არშავინი, ჟირკოვი, ბილიალეტდინოვი — ამ ფეხბურთელებმა ეროვნულ ნაკრებამდე ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში გაიარეს გზა და მათ ამისკენ ბიძგი ჩვენც მივეცით.

**— რუსული პრემიერლიგის და საერთოდ, რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელებად ვის მიიჩნევთ?**

— წინა სეზონის მიხედვით ძალიან კარგად წარმოაჩინა თავი კარვალიუმ, მისი შემწეობით ცსკა სულ სხვა გუნდი გახდა. გამოვარჩევდი არშავინს, კერჟაკოვს, აკინფეევს. რაც შეეხება იზმაილოვს, ის ინდივიდუალურად ძალიან ძლიერია, მაგრამ ტრავმების გამო ბოლომდე ვერა და ვერ გაიხსნა. დიდი პოტენცია აქვს ბილიალეტდინოვს.

**— თქვენი იდეები „დინამოში“ რომ მიიტანოთ და ბოლომდე განახორციელოთ, საამისოდ რა დრო დაგჭირდებათ?**

— მომავალი სეზონისთვის მზადებას რომ დავიწყებთ და სელექციაზე მექნება გავლენა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეს უკვე ჩერნიშოვის ორგანიზებული და შექმნილი გუნდია.

**— ჩემპიონობა მიმდინარე სეზონში — მხოლოდ ეს ჩაითვლება წარმატებულ შედეგად თქვენთვის?**

— ჩვენი მიზანია, ყველა იმ ტურნირში გავიმარჯვოთ, რაშიც ვმონაწილეობთ, მაგრამ უკვე დავრწმუნდი, რომ ეს ძალიან რთული ამოცანაა, ჩვენ ჯერჯერობით მდევრის როლში ვართ.

**— თბილისში ცხოვრებას როგორ ეგუებით?**

— აქ ყველამ კარგად მიმიღო და ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია. თითქოს რუსეთის სხვა ქალაქში გადმოვედი, რუსული აქ ყველამ იცის.

**— ანტირუსულ განწყობას არ გრძნობთ?**

— ჩემთან მიმართებაში ასეთს ვერაფერს ვგრძნობ.

**— კლაუს ტოპმიოლერი აპირებს, ყველა იმ გუნდის მწვრთნელს შეხვდეს, სადაც ნაკრების კანდიდატები თამაშობენ. რომელ დინამოელს გაუწევდით რეკომენდაციას?**

— ისეთი მწვრთნელი, როგორიც ტოპმიოლერია, თვითონაც ყველაფერს კარგად ნახავს მოედანზე. მოკლედ, ჯერ თვითონ უნდა ნახოს ფეხბურთელები და ალბათ მერე ვისაუბრებთ.

**— ამ დროისთვის ყველაზე უფრო რომელ სათამაშო რგოლში უჭირს „დინამოს“?**

— ჯერჯერობით ცოტა გოლი გაგვაქვს, ჩვენს ფორვარდებს ჯერ გოლი არ შეუგდიათ, გაშვებით კი სამი გავუშვით. მოკლედ, ყველა რგოლში გვაქვს პრობლემები, ჯერ კარგად დაბალანსებულნი არ ვართ.

**— „დინამოს“ გულშემატკივრებს რას ეტყოდით?**

— გულშემატკივარს ნებისმიერ სიტუაციაში უნდა სჯეროდეს თავისი გუნდის. როცა გუნდს უჭირს, მაშინაც საჭიროა მატჩზე მისვლა და გამხნევება. გვინდა, რომ განსაკუთრებით ჩემპიონატის ბოლო მატჩებში გვქონდეს ქომაგთა მხარდაჭერა — ახლა „დინამოსთვის“ აუცილებელია გვერდში დგომა, სტადიონზე მოსვლა და გულშემატკივრობა.

**დავით თავართქილაძე**

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი

# სადღაა ფინალი და მილანი

**ლივერპული** (ინგლისი) 0:2 **ბენფიკა** *(პორტუგალია)* (0:1)

0:1 სიმაო (36), 0:2 მიკოლი (89)

**ლივერპული:** რეინა, ფინანი, კარაგერი, ტრაორე, უორნოკი (ჰამანი 70), ლუის გარსია, ჯერარდი, ხაბი ალონსო, კიუელი (ჯ. სისე 63), მორიენტესი (ფაულერი 70), კროუჩი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

**ბენფიკა:** მორეტო, ალსიდესი, ლუიზაო, ანდერსონი, ლეო, მ. ფერნანდეში, ბეტუ, რობერი (რიკარდუ როშა 70), ჟოვანი (კარაგუნისი 60), სიმაო, ნუნუ გომეში (მიკოლი 77)

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

გაფრთხილება: რობერი, კროუჩი, ხაბი ალონსო, ნუნუ გომეში, ჯერარდი, ფერნანდეში

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

45 000 მაყურებელი



რონალდ კუმანი ევროპას აფრთხილებს: „ბენფიკა“ მოდის



ფაბრიციო მიკოლიმ „ლივერპულს“ მკვრატელათი გაუტანა

**მართალია,** თამაში „ენფილდ როუდზე“ იყო, ხოლო ამ ლეგენდარულ სტადიონზე გამარჯვება „ლივერპულის“ მეტოქეთათვის მძიმე საქმედ არის ცნობილი, „ბენფიკამ“ ლეგენდებსა და სიმბოლოებს ყური არ დაუგდო და ლიგა გამარჯვებულისგან გაათავისუფლა — ტიტული ვაკანტურია, ვისაც შნო აქვს, დაეუფლოს. შეგახსენებთ, რომ პირველი თამაში პორტუგალიელებს 1:0 ჰქონდათ მოგებული.

ასე და ამგვარად, სიმაო საბროსას ბრწყინვალე გოლისა და ფაბრიციო მიკოლის არანაკლები გატანილის წყალობით ლისაბონელებმა მეოთხედფინალისკენ გაიკვლიეს გზა, სადაც 1994-95 წლების სეზონის შემდეგ არ ყოფილან. ძალიან საინტერესოა, რომ ამ გზაზე მათ უკვე ინგლისური პრემიერლიგის მეორე გუნდი დაამარცხეს — „ლივერპულამდე“ „ბენფიკა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაუსწორდა, შობის წინ ჯგუფში ჩატოვა.

„ენფილდის“ საპატიო სტუმართა ლოჟაში სხვა პატივცემულ გვამებთან ერთად ბრძანდებოდა „ბენფიკას“ გასული საუკუნის 60-იანი წლების დიდების სიმბოლო ეუსებიოც, რომლის დროსაც ლისაბონის გუნდი დღევანდელზე გაცილებით ძლიერი გახლდათ, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რონალდ კუმანის გაწვრთნილ „ბენფიკას“ ოთხშაბათ საღამოს, მატჩის დამთავრების შემდეგ, თვით ინგლისელი მაყურებელი დაუნანებლად უკრავდა ტაშს.

პირველი თამაშის შედეგიდან გამომდინარე, მასპინძლები სტუმრებს იმთავითვე რომ შეუტევდნენ, დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, კუმანი ინგლისელების მხრიდან საჰაერო შეტევებსაც ელოდა და ამ ხიფათის მოსაგერიებლად თავისი მოთამაშეები საგანგებოდაც ჰყავდა გაფრთხილებული, მაგრამ მორიენტესკროუჩის წყვილით მოიერიშე „ლივერპულმა“ პირველი საგოლე მომენტი ფეხით შექმნა — ლუის გარსიამ მეთერთმეტე წუთზე კროუჩს მიაწოდა საჯარიმოში, მან კი ძელს გაარტყა ბურთი.

„ენფილდის“ ღრიალით გამხნევებულმა მასპინძლებმა პირველ შეტევას მეორე და მესამე მიაყოლეს. ხსენებულმა გარსიამ, რომელსაც გადამწყვეტი გოლების გატანა ეხერხება, მორიენტესთან გაითამაშა სწრაფი კომბინაცია და დაარტყა, მაგრამ მიზანს ვერ გაარტყა, შემდეგ კი ჯერარდმა კვლავ კროუჩს მიაწოდა პასი, ოღონდ ამჯერზე, თავდამსხმელის დარტყმული მეკარე მორეტომ ფეხით მოიგერია.

ამის შემდეგ კი სტუმრების ჯერი დადგა: ჯერ ჟოვანიმ შეაზანზარა მასპინძელთა კარის ძელი, შემდეგ კი სიმაომ საუცხოო გოლი შეაგდო — მისი ლამაზი ტრაექტორიით დარტყმულს ხოსე მანუელ რეინა უბრალოდ ვერ აილებდა. და თუ „ლივერპულს“ ოდნავი ეჭვი მაინც ჰქონდა, რომ ამ დღეს გამარჯვება არ ეწერა, ეს ეჭვი უთუოდ გაუმძაფრდებოდა, როდესაც ბეტოს უხეში შეცდომის მიუხედავად ბურთი „ბენფიკას“ კარში არა თუ არ შევიდა, მეტიც, ამას დამატებული კარაგერის თავური ძელმა უკუაგდო.

ერთი სიტყვით, მეორე ტაიმში მასპინძლები სტუმრების საჯარიმოში დასახლდნენ და რომ აღარ დავწვრილმანდეთ, დიდი ქარაშოტიც დააყენეს, მაგრამ, ვაგლახ, მეორე ტაიმში სამი გოლი რომ გჭირდება, ყოველთვის კი ვერ გაიტან. ამას სტამბოლი, ფინალი და „მილანი“ სჭირდება.

ხოლო „ბენფიკას“ იტალიელმა ფორვარდმა ფაბრიციო მიკოლიმ ბოლოს მაკრატელა გოლი შეაგდო.

**პაპუნა ძედია**

# სალამი ჩემპიონებს კატალონიურად



## რაიკარდმა თავი ღირსებით შეიმკო, მაურინიუმ გლახა ქალის სახელით



**ბარაქალა** ყოჩე მაურინიუს! „ჩელსის“ პორტუგალიელმა მწვრთნელმა აშკარად მოახერხა მისი გუნდისა და „ბარსელონას“ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი საფეხბურთო დაპირისპირების დიდ შოუდ ქცევა. აი, კეტჩი ხომ გინახავთ? საშინელი გარეგნობის კაცები თან რომ ჩხუბობენ და თან თეატრალური სიყალბე რომ ეტყობათ, ის. მაურინიუს ხელში „ბარსა“ — „ჩელსიც“ თითქოს კეტჩს დაემსგავსა.

რაზე ვლაპარაკობთ, ალბათ გასაგებია და თავიდან აღარ მოვყვებით, როგორ ატეხა მაურინიუმ „კამპ ნოუზე“ ერთი ამბავი ჯერ კიდევ შარშან ლონდონელი დიდიე დროგბას გაძევების გამო და იმიტომ, რომ შვედი მსაჯი ანდერს ფრისკი ფრანკ რაიკარდის ახლოს დალანდა. იმ ამბავს ფრისკის კარიერა შეეწირა, ხოლო მას მერე მტრობა მოდის, მოდის და იქამდე მოვიდა, რომ ამ კვირის დასაწყისში ბარსელონას აეროპორტში ჩასულ „ჩელსის“ კატალონიელმა ქომაგებმა ჯოჯოხეთი მოუწყვეს, პირადად მაურინიუს კი აფურთხეს. მატჩის დროს „კამპ ნოუ“ ყვიროდა: „მაურინიუ, ბოზო, მიესალმე ჩემპიონებს“ და „მაუ, აბა, გადათარგმნე: მშვიდობით, ევროპავ“! თარჯიმნობა კი, მოგეხსენებათ, იმ შუაშია, რომ მაურინიუ წლების წინ „ბარსელონას“ მწვრთნელის ბობი რობსონის თარჯიმნად მუშაობდა.

ცნობისთვის: აეროპორტის ამბის შემდეგ „ბარსას“ მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა ქომაგებს მაურინიუსთვის ტაშის დაკვრისა და მეტოქის პატივისცემისკენ მოუწოდა.

„რაიკარდი ჭკვიანია — თქვა ამ დღეებში მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთმა უდიდესმა ვარსკვლავმა, „ბარსას“ ყოფილმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა იოჰან კრუიფმა, რომელიც სხვათათვის ჭკუის დარიგებითაც გამოირჩევა — ის მოთამაშე იყო და მწვრთნელი მხოლოდ ამის შემდეგ გახდა. მან მშვენივრად იცის, რა არის ფეხბურთი, მაურინიუს კი თავად არ უთამაშია და ახლა სწავლობს. მას ყველაფერი ომი ჰგონია მაშინ, როდესაც თამაშამდე და მერე მეტოქეს პატივი უნდა სცე“.

როგორ შევკადროთ, მაგრამ თუ უკვდავის სიტყვები სწორად ვთარგმნეთ, გამოდის, რომ ღირსება იმაზეა დამოკიდებული, იყავი თუ არა ფეხბურთელი, თამაშის დროს მეტოქეს შეიძლება არც სცე პატივი და უეფას თასისა და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მაურინიუ დამწყები მწვრთნელია...

როგორ გითხრათ და, მაურინიუ უმალ ცუდი ბიჭია, ვიდრე დამწყები მწვრთნელი, ხოლო ღირსეულ ხალხს, რომელთაც ფეხბურთი არ უთამაშიათ, მწამს, კრუიფის სამეზობლოშივე ვიპოვნით.

რაიკარდს კი ყოჩაღ! ღირსეულადაც მოიქცა და ფეხბურთიც მოუგო მაურინიუს.

და ბოლოს, გეხსომებათ „ბარსა“ — „ჩელსის“ მატჩისშემდგომი კადრი, როგორ გადაეხვივნენ ერთმანეთს რონალდინიო და ფრენკ ლამპარდი და რაღაც თქვეს. ესპანელმა ტელემოხელეებმა ტუჩების მოძრაობით თუ სხვა ხერხით ბარსელონელისა და ლონდონელის დიალოგი გაშიფრეს.

რონალდინიო: როგორ არის კატალონიურის სწავლის საქმე?

ლამპარდი (კატალონიურად): არა უშავს.

შეგახსენებთ, რომ ლამპარდს ბარსელონელი მეგობარი გოგონა ჰყავს, ხოლო „ბარსას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა მისი და არსენალელი ტიერი ანრის ყიდვას აპირებს.

**პაპუნა ძედია**



## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი

# გალაქტიკობანა მორჩა: რეალს ბოლო ტყვია არსენამ გაარტყა



**არსენალი (ინგლისი) 0:0 რეალი (ესპანეთი) (1:0)**

**არსენალი:** ლემანი, ებუ, ტურე, სენდეროსი, ფლამინი, გლები (ბერხკამპი 87), ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, რეიესი (პირესი 68), ლიუნგბერგი, ანრი
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
**რეალი:** კასილიასი, სალგადო (რობინიო 84), სერხიო რამოსი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ბექემი, გრავესენი (ჟულიო ბაპტისტა 68), გუტი, ზიდანი, რაული (კასანო 73), რონალდო
**მწვრთნელი:** ხუან რამონ ლოპეს კარო
**გაფრთხილება:** გუტი, რობერტო კარლოსი, გრავესენი, ანრი, რაულ ბრავო
**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
38 500 მაყურებელი

**საკმარისი** იყო, „არსენალ“ — „რეალის“ მერე სტუმართა თავზეხელაღებული ვარსკვლავებისთვის შეგეხედათ, უმალ დარწმუნდებოდით, რომ ფლორენტინო პერესის წამოწყებული ყბადაღებული „გალაქტიკური ხანა“ უკვე დამთავრდა. რობერტო კარლოსმა, ზიდანმა და რონალდომ დალვრემილებმა მიაშურეს გასახდელს — სავარაუდოდ, არც ერთ მათგანის ადგილი მადრიდული გრანდის მომავალში აღარ ჩანს. „ჰაიბერიზე“ ჩამოსულ ესპანელ ინჩასებს კი რაული, სერხიო რამოსი, კასილიასი, გუტი, რობინიო, ბაპტისტა და დევიდ ბექემი მიესალმნენ. ესპანური მედიის ცნობით, ახალი პრეზიდენტი მარტინი სამეფო გუნდს ხელთათმანივით ამოატრიალებს, ოღონდ ხსენებულ შვიდეულს დაიტოვებს... ყველამ იცის, რომ ლიგიდან გავარდნის შემდეგ „რეალში“ დიდი, ანტიგალაქტიკური წმენდა დაიწყება. „არსენალმა“ უფრო მეტი შეძლო, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლაა, ვენგერის გუნდმა არა მხოლოდ სუპერკლუბში, იქნებ მსოფლიო ფეხბურთშიც ერთ დიდ პერიოდს დაუსვა წერტილი.

„რეალმა“ „ჰაიბერიზე“ „არსენალს“ გოლი ვერ გაუტანა და, ალბათ, 2005-06-ის სეზონში ყველანაირ ჯილდოს დაემშვიდობა. ლიგა და სამეფო თასი მადრიდელებმა უკვე დაკარგეს, ესპანეთის ჩემპიონობას კი „ბარსელონას“ ვერ წაართმევენ, ეს ურთულესი საქმეა. ლონდონში რონალდომ და რაულმა ძირითადში ითამაშეს და ბრაზილიელს უკვე მატჩის დასაწყისში შეეძლო გატანა. მესამე წუთზე კიჭამ ახლო მანძილიდან ლემანის კარში თავით გაგზავნა ბურთი, ოღონდ ძალიან სუსტად, მეკარეს მოგერიება არ გასჭირვებია. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ იბობოქრა ბრაზილიელმა, ახლა რაულის ქუსლური პასით უნდა გაეტანა, თუმც რონის ჟილბერტომ შეუშალა ხელი. ეს იყო და ეს. დარჩენილი დრო რონალდომ ჩრდილში გაატარა. არადა, თუ მის მატჩისწინა განცხადებებს გადავხედავთ, მადრიდელთა ცხრიანს ლონდონელებისთვის ანდერძი მარტოს უნდა აეგო...

შესანიშნავად იბურთავეს „არსენალის“ თავდამსხმელებმა, კერძოდ, ტიერი ანრიმ. რამდენი ანრიმ ბურთი მიიღო, „რეალის“ მცველებს იმდენი თავგზა აებნათ, აღარ იცოდნენ, რა ექნათ... შესვენებამდე ფრანგმა სერხიო რამოსის შეცდომით ისარგებლა და რეიესი შეატოვა კასილიასს, თუმც ახალგაზრდა ჰაიბერელმა ძელს გაარტყა ბურთი.

მეორე ტაიმში „რეალის“ ნახევარდაცვა უფრო „გაიჭედა“, მოიერიშეებს პასებით ველარ ამარაგებდა. გოლის გატანაზე საუბარიც ზედმეტი იყო, ოღონდ რაულმა მე-60 წუთზე კი გაუხეთქა „ჰაიბერის“ ფანებს გული — ესპანელთა კაპიტნის დარტყმამ ლემანის კარის ძელი შეაზანზარა. რაულმა ძელიდან ასხლეტილსაც დაამატა, თუმც „არსენალის“ მეკარემ სასწაულებრივად მოიგერია დარტყმა.

თამაშის ბოლოს კასილიასიც ჩავიდა მეტოქის საჯარიმოში. ნაკუთხურალი ბურთი კი „არსენალმა“ მოიგდო და პირესმაც ცარიელ კარში დაარტყა. რობერტო კარლოსმა უპატრონოდ დარჩენილ კარს სულზე მიუსწრო...

„შესანიშნავი თამაში იყო. ჩვენმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა დაამტკიცეს, რომ „რეალის“ დარი გრანდის ძლევაც შეუძლიათ“ — განაცხადა ვენგერმა პრესკონფერენციაზე. „ბედმა გაგვყიდა. როგორც მინიმუმ ორი გოლის გატანა შეგვეძლო“ — თქვა მადრიდელთა დამრიგებელმა კარომ. ერთი სიტყვით ტიერი ანრის „ბერნაბეუზე“ გატანილი ოქროს გოლი გამოდგა.“

**ლადო ხომერიკი**

# მადრიდში ფქვილის ტომარას ფერთხავენ

**ჩემპიონთა** ლიგიდან „რეალის“ გავარდნამ, წესით, მადრიდელთა ახალი პრეზიდენტის, ფერნანდო მარტინის გეგმების განხორციელება უნდა დააჩქაროს. საქმე, „რეალში“ სამომავალსეზონოდ მწვრთნელად ფაბიო კაპელოს მოსვლას ეხება. სახელგანთქმულ იტალიელზე ჯერ კიდევ ფლორენტინო პერესის დროს ალაპარაკდნენ, თუმც სენიორ ფლორენტინო ბოლო წამამდე ყოყმანობდა, ფერნანდო მარტინი კი დონ ფაბიოს მოყვანეზე უკან არ დაიხევს. მართალია, დღევანდელი მწვრთნელი ხუან რამონ ლოპეს კარო „რეალში“ სეზონის ბოლომდე დარჩება, მაგრამ იტალიელთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია და „იუვენტუსის“ ტაქტიკოსი სამომავლოდ სასურველი კანდიდატურაა.

## რეალს კაპელო უნდა, კაპელოს



## ბევრი ფული და ბევრის გაშვება

კაპელოს სურვილები კი უკვე ცნობილია — მადრიდში გადასვლის სანაცვლოდ ვარსკვლავებზე დიდ ანაზღაურებას და გუნდიდან რამდენიმე წონიანი გალაქტიკოსის გაშვებას ითხოვს. იტალიელის შავ სიაში ბრაზილიელი რონალდო „ლიდერობს“, მერე მოდიან რობერტო კარლოსი ივან ელგერა, მიჩელ სალგადო, ტომას გრავესენი და ანტონიო კასანო. თუ ამათ გაუშვებენ, სალაროში საკმარისი თანხა შემოვა საიმისოდ, „ინტერის“ ადრიანო და „იუვენტუსის“ იბრაჰიმოვიჩი იყიდონ. ადრიანო და იბრაჰიმოვიჩი რონალდოს და ზიდანის შემცვლელებად ივარაუდებიან.

სამეფო გუნდის დირექტორატშიც ცვლილებებია მოსალოდნელი. ფერნანდო მარტინი „რეალის“ ძველ მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს, სავარაუდოდ, ბენიტო ფლოროს მაგივრად მოიყვანს (ოღონდ ჯერ ის არის საკითხავი, დელ ბოსკე სპორტულ დირექტორობაზე თუ დათანხმდება — ამბობს, „ბერნაბეუზე“ მარტო მწვრთნელის რანგში დავბრუნდებიო) და ექსკაპიტან ფერნანდო იეროსაც შეუთანხმდებიან. „რკინის კაპიტანი“ ერთგვარად მენეჯერივით იქნება, რომელიც გუნდსა და უფროსს შორის პრობლემებს მოაგვარებს.

**ლადო ხომერიკი**

# რონალდო: პელეს ჭკუას უჭკუო თუ ჰკითხავს



**სასწაული** უნდა მოხდეს, რონალდომ 2006-07-ის სეზონშიც კარიერა მადრიდის „რეალში“ რომ გააგრძელოს. ბრაზილიელი ინჩასებს, თანაგუნდელებსა და „რეალის“ ხელმძღვანელობას დაუპირისპირდა. გთავაზობთ რონალდოს ინტერვიუს მადრიდულ „ასთან“ — ჟურნალისტები განაწყენებულ ფეხბურთელს „არსენალთან“ მატჩის შემდეგ გაესაუბრნენ.

— როგორ გრძნობთ თავს?

— საკმაოდ კარგად, თუმც მწყინს, ბოლო დროს ჩემზე ბევრს რომ ჭორაობენ — ზოგიერთმა რონალდოს ცხოვრების რთული პერიოდით ისარგებლა და ქირქილი დაიწყო, ამას წინათ პრესაში პელეს და მიშელ პლატინის რაღაც სულელური გამონათქვამები წავიკითხე ჩემზე... მე ყველას პატივს ვცემ, ოღონდ ხალხისთვის პირში ლაგამის ამოდება არ შემიძლია. ამბობენ თითქოს გუტის ვეჩხუბე ადამიანს, რომელიც „რეალში“ მოსვლის დღიდანვე ჩემი საუკეთესო მეგობარია. მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ მადრიდის „რეალისთვის“ რონალდო რატომღა გაუცხოვდა.

— ძალიან გაღიზიანებთ ის, რაც ხდება?

— ყველას თავისუფალი ცხოვრების უფლება უნდა ჰქონდეს. ნუ მაიძულებენ, ვითვალთმაქცო. რაულთან ვიმეგობრებ, კასილიასთან, სალგადოსთან რობერტო კარლოსთან თუ რობინიოსთან ეს მარტო ჩემი გადასაწყვეტია.

— „ატლეტიკოსთან“ დერბიში მწვრთნელმა სათადარიგოებში დაგტოვათ...

— ლოპეს კარომ მითხრა, დაღლილი ხარ და დაისვენეო, მედიამ კი ამას კუდები გამოაბა — მწვრთნელმა რონი დასაჯაო. არა უშავს, როცა ამისთვის ხელსაყრელი დრო მოვა, ვიტყვი ვინ ვინ არის.

— გეტყობათ, „მტრებს“ წყენას არ აპატიებთ...

— იცით, ბევრი რამე გადავყლაპე და ეს მაბრაზებს. მაგარი ზურგი მაქვს, კიდევ ბევრ მათრახს გავუძლებ, მაგრამ უსამართლო კრიტიკასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი.

— ყველაზე მეტად რა გაწუხებთ?

— „მარკაში“ ჩემზე საშინელი სტატიები იწერება. ამ გაზეთს კი ესპანეთში და თითქმის მთელ მსოფლიოში კითხულობენ. მედიის ჩუმდამი უსამართლო საქციელი გულს მიკლავს.

— პელემ რა თქვა თქვენზე?

— პელემ რაც არ უნდა თქვას, ყურადღებას ნაკლებად ვაქცევ. ფანტასტიკური, გასაოცარი მოთამაშე იყო, ოღონდ თუ მის ერთ ჭკვიანურ ნათქვამს გამახსენებთ, მადლობელი ვიქნები. ღმერთს ვთხოვთ, როცა ფეხბურთს თავს დავანებებ, არ გავბოროტდე და ზოგიერთივით თანამედროვე ვარსკვლავებზე სიბრიყვე არ წამოსცდეს.

— იმედგაცრუებული ხართ?

— არავითარ შემთხვევაში. მინდა, რომ ესპანური პრიმერა წელს „რეალმა“ მოიგოს. თუ არა, მეორე ადგილისთვის მაინც ვიბრძოლებთ.

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი


AFP მილანიდან

მილანელებმა მოგება პაოლო მალდინისაც მიუძღვნეს

# იტალიური კვატრონი: გერმანიას აღარა ჰყავს პატრონი?

*მილანი (იტალია)* 4:1 ბაიერნი (გერმანია) (1:1)
1:0 ინძაგი (8), 2:0 შევჩენკო (25), 2:1 ისმაელი (35), 3:1 ინძაგი (47), 4:1 კაკა (59)
*შევჩენკომ ვერ გაიტანა პენალტი (23, ააცილა)*
მილანი: დიდა, სტამი, ნესტა, კალაძე, სერჟინიო, ფოგელი, პირლო, ზეედორფი, კაკა (რუი კოშტა 86), შევჩენკო (ამბროზინი 76), ინძაგი (ჯილარდინო 72)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლიზარაზუ (ზე რობერტო 52), დაისლერი (შოლი 63), დემიკელისი, შვაინსტაიგერი, ბალაკი, მაკაი (პ. გერერო 46), კ. პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ფოგელი, დემიკელისი, სანიოლი, ნესტა, გერერო
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
80 476 მაყურებელი

**მიუნხენის** „ბაიერნი“ „სან სიროზე“ შერცხვა და გერმანია ჩემპიონთა ლიგაში უგუნდოდ დარჩა. ბუნდესლიგის ლიდერმა 1:4 წააგო, რაც თავისთავად მრავლისმეტყველია. თანაც შეიძლებოდა, ანგარიში ბევრად უფრო გამანადგურებელი ყოფილიყო.

მილანელები შევჩენკო-ინძაგის შემტევი წყვილით უტევდნენ. ბოლო დროს ბრწყინვალედ ათამაშებული ფილიპო ინძაგი კარლო ანჩელოტიმ ალბერტო ჯილარდინოს ამჯობინა და არც შემცდარა. „პიპომ“ „ბაიერნის“ მესაფლავის სახელი გაამართლა. „როსონერიმ“ თამაში ისე დაიწყო, თითქოს გოლი მას ჰქონდა გასატანი და არა მიუნხენელებს. მე-8 წუთზე სერჟინიომ შორეულ ძელთან ჩაჰკიდა ბურთი, ოლივერ კანმა კარიდან გამოსვლა დააგვიანა, ხოლო ინძაგიმ შევჩენკოს დაასწრო და ნახტომში თავური დარტყმით გაიტანა.

მასპინძლები იერიშებს აგრძელებდნენ, რამაც შედეგი მალევე გამოიღო — ინძაგი საჯარიმოში წააქციეს. ყოველ შემთხვევაში, ვალენტინ ივანოვმა ასე ჩათვალა და პენალტი დანიშნა. ბურთთან ანდრეი შევჩენკო მივიდა და უხეიროდ დაარტყა, კანმა მიმართულება გამოიცნო, მაგრამ ბურთმა მეკარესაც აუარა გვერდი და კარსაც, რის მერეც ვეტერანი გოლკიპერი უკრაინელს მივარდა და ყურში ჩაჰყვირა.

„არც მიმქცევია ყურადღება, რა მითხრა, მაგრამ მას ეს არ ეკადრებოდა. ჩვენ კი ყველაფერს პასუხი მინდორზე გავეცით, ბრწყინვალედ ვითამაშეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. კანს შეუძლია, რაც უნდა ილაპარაკოს, მაგრამ 1:4 წააგო“ — თქვა შევჩენკომ.

გაფუჭებული პენალტის შემდეგ შევჩენკომ კანს მართლაც მალევე უპასუხა. მეორე გოლიც დაახლოებით იმ ადგილიდან გავიდა, რომლიდანაც პირველი და ასევე თავით, მაგრამ ამჯერად სტამმა ჩააწოდა მარჯვენა ფლანგიდან და უკრაინელმაც ეფექტურად გადაგზავნა ბურთი კარში.

„როსონერისთვის“ ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა, სანამ დიდას შეცდომა მატჩს ინტრიგას არ დაუბრუნებდა. მას ბასტიან შვაინსტაიგერის დარტყმული ბურთი ხელიდან გაუვარდა და ვალერიან ისმაელს გაატანინა. „ბაიერნი“ ამ გოლმა გამოაცოცხლა და შეხვედრაში გარდამტეხი სწორედ პირველი ტაიმის ბოლო ათი წუთი შეიძლებოდა ყოფილიყო. გერმანელებმა რამდენიმე მომენტი შექმნეს და შესვენებამდე გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ „მილანი“ გადარჩა.

მეორე ტაიმის დებიუტში კი „მილანმა“ საქმე მოათავა. 47-ე წუთზე „ბაიერნის“ ორი მცველი შეცდა, რიკოშეტით ბურთი ინძაგის მიუვიდა და ფეხზე აუხტა, 32 წლის ფორვარდმა თავით დარტყმა მოახერხა და 3:1. ამის შემდეგ „როსონერი“ მატჩს მსვლელობას დამაჯერებლად აკონტროლებდა და საბოლოო წერტილი 59-ე წუთზე დასვა. კაკა მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და კანს კოხტა გოლი გაუტანა.

სხვათა შორის, მატჩს იტალიის ნაკრების თავკაცი მარჩელო ლიპიც ესწრებოდა, რომელიც ფილიპო ინძაგის თამაშით უდავოდ მოიხიბლებოდა. მას მრავალჯერ უთქვამს, „სკუადრა ატურაში“ მოხვედრის შანსი ყველას აქვს, ვინც კარგ ფორმაში იქნებაო.

„ძალიან მიხარია, რომ ასეთ ბრწყინვალე გუნდში ვთამაშობ და მადლობა თანაგუნდელებს მხარში ამოდგომისთვის. საბედნიეროდ, ფორმა აღვიდგინე და მუნდიალზე თამაშის შანსიც მაქვს“ — თქვა „პიპომ“.

კარლო ანჩელოტი: „ამ შეხვედრისთვის პირველ მატჩში დაშვებული შეცდომები გავითვალისწინეთ და მათი გამოსწორება შევძელით. ახლა კარგ ფორმაში ვართ, ეს თამაში დიდხანს გვემახსოვრება“.

ფელიქს მაგათი: „ეს შავი დღე იყო „ბაიერნისთვის“. ძალიან იმედგაცრუებული ვარ. გუნდური თამაში არ გამოგვივიდა და ჩვენი საღამო არ იყო“.

**გიორგი ძაძაბაძე**


AFP მილანიდან

# ხელებაწეულმა გერმანიამ ხმასაც აუწია: რუმენიგე აფეთქდა



**2001 წლის** მარტში, როცა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მიუნხენის „ბაიერნმა“ ფრანგულ „ლიონთან“ 0:3 წააგო, კლუბის მაშინდელი პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი „აფეთქდა“, გუნდი მაგრად „შეახურა“, მწარ-მწარე სიტყვები თქვა და ფეხბურთელებს გაყრითაც დაემუქრა.

თითქმის ასევე მოიქცა კარლ-ჰაინც რუმენიგე, ბავარიელთა ამჟამინდელი შეფი, როცა მიუნხენელებმა გუშინწინ მილანში 1:4 წააგეს.

— სიტყვები არ მყოფნის. ეს ნამდვილი კატასტროფა, მეტიც, ჯოჯოხეთი იყო. პირველი ნახევარი საათის განმავლობაში სად ვიყავით, რას ვთამაშობდით, ვერ გავიგე. საერთოდ, ვიყავით კი მინდორზე? ასეთი უსიცხლო „ბაიერნი“ არასდროს ყოფილა. იტალიელებმა კლასიც დაგვანახეს და ისიც, თუ როგორ უნდა ითამაშო ფეხბურთი.

— **დაისჯება ვინმე?**

— გამორჩევით არავინ და არც ცხელ გულზე გვინდა რაიმეს გადაწყვეტა. უახლოეს დღეებში დავსხდებით და ცივი გონებით გავაანალიზებთ ყველაფერს. ერთის თქმა კი ნაღდად შემიძლია, ყველას მკაცრად დაველაპარაკებით.

— **ახლა სამომავლო გეგმებზე ლაპარაკი ალბათ უადგილოცაა...**

— არა, რატომ?! მართალია, ჩვენი დიდი სურვილი უკვე წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ამის გამო ყველაფერზე ხელის ჩაქნევას ნამდვილად არ ვაპირებთ. ფეხბურთელებს კატეგორიულად მოვთხოვ, რომ ბუნდესლიგა უეჭველად მოიგონ. ისინი, უბრალოდ, ვალდებულნი არიან. ამისთვის კი საჭიროა ჯერ „ვოლფსბურგს“, შემდეგ კი „შალკეს“ სძლიონ. კიდევ ერთი კატასტროფა, თანაც შინაურ ფრონტზე ნაღდად აღარ მინდა...

**ნინო სილაგაძე**

# ვინ დასცინის ბუნდესნაკრებს?
## ეფენბერგი ჰიცფელდს იხვეწება



**გერმანელი** ვარსკვლავყოფილი შტეფან ეფენბერგი თავისი ქვეყნის საფეხბურთო კავშირს ევედრება, ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან ახლავე გაათავისუფლოს იურგენ კლინსმანი და მის ადგილას ოტმარ ჰიცფელდი დანიშნოს.

„ჩემზე რომ იყოს, ახლავე მოვიშორებდი კლინსმანს თავიდან და ოტმარ ჰიცფელდს მოვიწვევდი — უთხრა ეფენბერგმა „ბილდს“ — ამას აშშ-ის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრამდე ვიზამდი“.

გერმანელები და ამერიკელები 22 მარტს ხვდებიან დორტმუნდში. შეგახსენებთ, რომ წინა ოთხშაბათს გერმანელებმა ფლორენციაში იტალიელებთან წააგეს 1:4.

„სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ კლინსმანზე ამას წინათ მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი, ბუნდესნაკრების 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი და 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთელი ფრანც ბეკენბაუერიც გაბრაზდა. მისი გაბრაზების მიზეზი ის გახლდათ, რომ კლინსმანმა მუნდიალისწინა პერიოდში ამერიკიდან გერმანიაში გადასახლება და თავისი გუნდის სიახლოვეს ცხოვრება არ ისურვა.

„კლინსმანს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ერთი ნაბიჯით არ დაიხევს უკან, ამასობაში კი სხვები დაგვცინიან და რეპუტაციას ვკარგავთ“ — დასძინა ეფენბერგმა.

რაც შეეხება ოტმარ ჰიცფელდს, მან გერმანიის ნაკრების გაწვრთნაზე უარი 2004 წელს განაცხადა. იმავე პერიოდში ქვეყნის საფეხბურთო კავშირი უარით გაისტუმრა ოტო რეჰაგელმაც და რუდი ფიოლერის დატოვებული თანამდებობა კლინსმანს დარჩა.

ეფენბერგი: „დარწმუნებული ვარ, ერთხელაც რომ შევთავაზოთ, ჰიცფელდი დათანხმდება“.

**პაპუნა ძიძია**

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი



# საწოვარა

## ბავშვები მარტო ბრაზილიელებს უჩნდებათ?



***ლიონი (საფრანგეთი)* 4:0 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) (1:0)**

1:0, 2:0 ტიაგუ (26, 45), 3:0 ვილტორდი (71), 4:0 ფრედი (90)
ლიონი: კუპე, კლერკი, კრისი, მიულერი, აბიდალი, ტიაგუ (ჟ. კლემანი 80), მ. დიარა, ჟუნინიო (პედრეტი 76), ვილტორდი, მალუდა, კარეუ (ფრედი 66)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
პსვ ეინდჰოვენი: გომესი, ლუსიუსი, ადო, ალექსი (აისატი 76), რაიციგერი, სიმონსი, აფელაი, კოკუ, კულინა (ვაირინენი 57), ფარფანი (ბისლი 57), კონე
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაფრთხილება: ჟუნინიო, აფელაი, კოკუ, კოკუ
გაძევება: კოკუ (42)
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)
42 000 მაყურებელი

**საად იყო** „ლიონის“ ბრაზილიელი ფორვარდი ფრედი თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე? წესით, გასახდელში ან მოედანზე გასახურებლად უნდა ყოფილიყო, მაგრამ მის ცოლს მუცელი ასტკივდა და... ლიონის ერთ-ერთ საავადმყოფოში ბავშვის ტირილის ხმა გაისმა. იქ იყო ფრედიც და მშობიარე ცოლს ქომაგობდა. პირველი შვილის დაბადებით გახარებული ბრაზილიელი „სტად ჟერლანისკენ“ გაემგზავრა და გზად ხელს საწოვარა გააყოლა. მან არ იცოდა ათამაშებდა თუ არა ჟერარ ულიე, მაგრამ ფრანგმა მწვრთნელმა 66-ე წუთზე შეცვლაზე შეუშვა. ფრედმა საუცხოო გოლი გაიტანა, დარტყმამდე კი ისეთი ფინტით გააბითურა მცველი, რომ ამის აღწერა კალმით ძნელია. და მერე? ბრაზილიელებმა გოლისას რაიმე ორიგინალური ხომ უნდა გააკეთონ? ჰოდა, ფრედმა საწოვარა იკრა პირში და კუთხურის ალმისკენ, ფანებთან მიირბინა.

ფრედის გოლამდე კი პსვ-ს საქმე დამთავრებული იყო. გასულ ზაფხულს „ჩელსიდან“ „ლიონში“ გადასულმა ტიაგუმ პირველ ტაიმში დუბლი შეასრულა, ხოლო სტუმრებს ფილიპ კოკუ გაუძევეს. კაცნაკლული ჰოლანდიელები ბრწყინვალედ მოთამაშე მასპინძლებთან საცოდავად გამოიყურებოდნენ. ტიაგუს დუბლამდე კი „ლიონისთვის“ ცუდი ამბავი მოხდა. მე-12 წუთზე ჟუნინიო გააფრთხილეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეოთხედფინალის პირველ მატჩს გამოტოვებს, ეს კი ჟერარ ულიეს გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნება, ბრაზილიელი ნახევარმცველი ხომ „ლიონის“ ძრავაა, თამაში მასზეა აწყობილი.

რაც შეეხება პორტუგალიელის გოლებს — პირველი მალუდას პასით გაიტანა, მეორე კი ჟუნინიოს შესრულებული საჯარიმოს შემდეგ.

ათკაცა პსვ მეორე ტაიმში ცდილობდა, რომ დიდი ანგარიშით არ წაეგო, „ლიონი“ კი გალაღებული უტევდა. სილვენ ვილტორდმა სხვაობა სამამდე გაზარდა, ხოლო ეინდჰოვენელთა რბევა ფრედმა დაასრულა.

მასპინძელთა მწვრთნელმა ნამატჩევს ჟუნინიოზე ილაპარაკა: „ის ჩვენი გუნდის მთავარი კაცია, მაგრამ თუკი ჩემპიონთა თასის მოგება გვსურს, მის გარეშეც უნდა შევძლოთ კარგად თამაში. ჟუნინიოს შემცვლელს ვერ მოვძებნი, თუმცჯერ ის მაინტერესებს, ვის შევხვდებით მეოთხედფინალში და სად გვექნება პირველი მატჩი — სტუმრად თუ შინ. დღეს ისე ითამაშებს ბიჭებმა, რომ ჟუნინიოს გარეშე დარჩენის არ გვეშინია“.

გუს ჰიდინკი: „კოკუ რომ გაგვიგდეს, ამით ყველაფერი შეიცვალა. არ ვჩივი და არც თავს ვიმართლებ. ძალიან ძლიერ გუნდთან წავაგეთ, რომელიც გამარჯვებას იმსახურებდა“.

**გაჟა ხუციშვილი**




## კაპელომ ლამის ზლატანის მშობლები დაიბაროს

**საინტერესო** და სახალისო ამბავი მოხდა ტურინის „იუვენტუსის“ ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე. ფაბიო კაპელომ ვარჯიშის დასრულების შემდეგ ზლატან იბრაჰიმოვიჩს დაუძახა და სთხოვა, მოედანზე დარჩენილიყო. იმ დროს, როდესაც სხვა ფეხბურთელები გასახდელში შხაპს იღებდნენ, შვედი ფორვარდი დამატებით მეცადინეობდა კარში დარტყმაში.

საქმე ის არის, რომ კაპელოს ფავორიტი თავდამსხმელი ამ სეზონს ისე შედეგიანად ვერ ატარებს, როგორც წინას და ძალიან ბევრ მომენტს აფუჭებს. მარტო მხოლოდ „პარმასთან“ და „კიევოსთან“ გასაოცებელი ვერგატანილების გახსენება რად ღირს. ჩემპიონთა ლიგაში კი ზლატანის უზუსტობის ყველაზე ცხადი მაგალითი „ვერდერთან“ მატჩებია, რაც ტურინელებს კინაღამ ძვირად დაუჯდათ.

როგორც ჩანს, კაპელომ პრობლემის გადაჭრა დამატებითი ვარჯიშით გადაწყვიტა, თანაც საჯაროდ, რაც იბრაჰიმოვიჩზე გარკვეულ ფსიქოლოგიურ გავლენასაც გულისხმობს. იგი საკმაო ხნის მანძილზე ცდილობდა, გუნდის მესამე მეკარე ლანდრი ბონეფოისთვის გაეტანა.

„იუვენტუსი“ ამ სეზონში ძირითადად დავიდ ტრეზეგესა და ალესანდრო დელ პიეროს გოლებით გადის იოლას. არადა, პირველს ტრავმის გამო საკმაო პერიოდი გაუცდა, ხოლო მეორე ძირითადად შეცვლაზე შედის, იბრაჰიმოვიჩს კი გაცილებით მეტი სათამაშო დრო ეძლევა.

ამსტერდამის „აიაქსის“ ყოფილმა ფორვარდმა წინა სეზონი მართლაც ბრწყინვალედ ჩაატარა და სერია A-ში 16 გოლი შეაგდო. ჩვეულ საოცარ ტრიუკებსა და შედეგიან გადაცემებს ზლატანი ახლაც აკეთებს, მაგრამ მის ანგარიშზე ოდენ 6 ბურთი და უამრავი არაზუსტი დარტყმაა.

**გიორგი ძაძამაძე**

## საფრანგეთში გოლები დაიკარგა
## იდალგომ ქვეყანა შეძრა



**მეფსონეთა** ენით რომ ვთქვათ, საფრანგეთის პირველ-მეორე დივიზიონების მატჩების უმეტესობა „ნაკლები გოლია“, ანუ თამაშებში ძალიან ცოტა გოლი გადის, მაგრამ რევოლუციებში დაოსტატებული ფრანგები აქაც რევოლუციას აპირებენ.

| 17239 | ლანსი-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17240 | სტრასბური-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17241 | რენი-აიაჩო | 1.85 | 1.95 |
| 17242 | ბორდო-ტულუზა | 1.85 | 1.95 |
| 17244 | ოსერი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17245 | მარსელი-სტ.ეტიენი | 1.85 | 1.95 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 410 | პუმასი-მორელია | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 411 | სანტოსი-ვერაკრუსი | 1.95 | 3.30 | 3.35 | 1.22 | 1.23 | 1.66 |
| | | **არგენტინა 12 მარტი** | | | | | | |
| 23:30 | 412 | ბოკა ხუნიორსი-კილმესი | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 23:30 | 413 | ხიმნასია ჟ-სან ლორენსო | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 23:30 | 414 | [illegible] | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 23:30 | 415 | ინსტიტუტო-არგ. ხუნიორსი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 23:30 | 416 | ლანუსი-ხიმნასია ლპ | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| 23:30 | 417 | როსარიო-რასინგი | 1.50 | 3.60 | 5.00 | 1.05 | 1.15 | 2.09 |
| 23:30 | 418 | ველესი-ბანფილდი | 1.45 | 3.70 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| 23:30 | 419 | ესტუდიანტესი-ნიუელსი | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 23:30 | 420 | არსენალი-კოლონი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:30 | 421 | ოლიმპო-ტირო ფედერალი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| | | **ჩილე 10 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 432 | მორნინგი-აუდაქსი | 3.20 | 3.20 | 2:00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 431 | ჰიგინსი-უ.კონსეფსიონი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:45 | 433 | სერენა-ანტოფაგასტა | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 23:45 | 434 | უაჩიპატო-კობრელოა | 2.15 | 3.30 | 2.80 | 1.30 | 1.21 | 1.51 |
| 23:45 | 437 | კობრესალი-ევერტონი | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 435 | პალესტინო-უნ.კატოლიკა | 3.50 | 3.30 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| 23:00 | 438 | უონდერერსი-კოკიმბო | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 23:00 | 439 | უნ.ჩილე-პუერტო მონტი | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| | | **ფინეთი. თასი 10 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 471 | იარო-ვპს | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **როიალ ლიგა 11 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 481 | ლილესტრომი-გოტებორგი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. გერმანია 10 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 694 | ჰანოვერი-აისბარენი | 2.20 | 4.20 | 2.10 | 1.44 | 1.07 | 1.39 |
| 22:30 | 695 | ინგოლშტადტი-კრეფელდი | 1.65 | 4.30 | 3.20 | 1.10 | 1.08 | 1.83 |
| 22:30 | 696 | მანჰაიმი-ნიურნბერგი | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 22:30 | 697 | აუგსბურგი-კიოლნი | 2.20 | 4.20 | 2.10 | 1.44 | 1.07 | 1.39 |
| 22:30 | 698 | დიუსელდორფი-კასელი | 1.55 | 4.30 | 3.50 | 1.13 | 1.07 | 1.92 |
| 22:30 | 699 | დუისბურგი-იზერლონი | 2.00 | 4.20 | 2.25 | 1.35 | 1.05 | 1.46 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი 10 მარტი** | | | | | | |
| 15:00 | 715 | ვიტიაზი-ავანგარდი | 3.00 | 4.20 | 1.60 | 1.75 | 1.04 | 1.15 |
| 15:00 | 716 | ასკ-ხიმიკი | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 15:00 | 717 | სიბირი-დინამო | 2.30 | 4.20 | 2.00 | 1.48 | 1.06 | 1.35 |
| 15:00 | 718 | სევერსტალი-სპარტაკი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| 15:00 | 719 | ნეფტეხიმიკი-ცსკა | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 15:00 | 721 | მაგნიტოგორსკი-ლოკომოტივი | 1.65 | 4.30 | 3.00 | 1.19 | 1.06 | 1.76 |
| 15:00 | 722 | ნოვოკუზნეცკი-აკ ბარსი | 3.20 | 4.40 | 1.60 | 1.85 | 1.06 | 1.17 |

## მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9012 | იაპონია | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ესპანეთი | 12.00 |
| 18:00 | 9012 | ავსტრალია | 80.00 |
| 18:00 | 9012 | პოლონეთი | 75.00 |
| 18:00 | 9012 | ხორვატია | 50.00 |
| 18:00 | 9012 | უკრაინა | 45.00 |
| 18:00 | 9012 | მექსიკა | 40.00 |
| 18:00 | 9012 | შვედეთი | 28.00 |
| 18:00 | 9012 | ტუნისი | 280.00 |
| 18:00 | 9012 | პორტუგალია | 18.00 |
| 18:00 | 9012 | აშშ | 95.00 |
| 18:00 | 9012 | არგენტინა | 9.00 |
| 18:00 | 9012 | იტალია | 8.50 |
| 18:00 | 9012 | გერმანია | 7.50 |
| 18:00 | 9012 | ინგლისი | 6.50 |
| 18:00 | 9012 | ბრაზილია | 3.70 |
| 18:00 | 9012 | შვეიცარია | 100.00 |
| 18:00 | 9012 | ჩეხეთი | 25.00 |
| 18:00 | 9012 | ტოგო | 290.00 |
| 18:00 | 9012 | ჰოლანდია | 15.00 |
| 18:00 | 9012 | კოტ დიუარი | 80.00 |
| 18:00 | 9012 | ს.არაბეთი | 600.00 |
| 18:00 | 9012 | საფრანგეთი | 10.00 |
| 18:00 | 9012 | ანგოლა | 380.00 |
| 18:00 | 9012 | სერბეთი | 100.00 |
| 18:00 | 9012 | კორეა | 250.00 |
| 18:00 | 9012 | განა | 190.00 |
| 18:00 | 9012 | პარაგვაი | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ეკვადორი | 120.00 |
| 18:00 | 9012 | ტრინიდადი | 800.00 |
| 18:00 | 9012 | კოსტა რიკა | 500.00 |
| 18:00 | 9012 | ირანი | 450.00 |

## მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

**ჯგუფი A 9101**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | კოსტა რიკა | 15.00 |
| 18:00 | გერმანია | 1.35 |
| 18:00 | პოლონეთი | 4.50 |
| 18:00 | ეკვადორი | 9.00 |

**ჯგუფი B 9102**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ინგლისი | 1.45 |
| 18:00 | შვედეთი | 3.10 |
| 18:00 | პარაგვაი | 7.00 |
| 18:00 | ტრინიდადი | 35.00 |

**ჯგუფი C 9103**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | სერბეთი | 9.00 |
| 18:00 | არგენტინა | 1.95 |
| 18:00 | ჰოლანდია | 2.40 |
| 18:00 | კოტ დიუარი | 9.00 |

**ჯგუფი D 9104**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ანგოლა | 12.00 |
| 18:00 | ირანი | 10.00 |
| 18:00 | პორტუგალია | 1.80 |
| 18:00 | მექსიკა | 2.10 |

**ჯგუფი E 9105**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | აშშ | 7.00 |
| 18:00 | იტალია | 1.65 |
| 18:00 | ჩეხეთი | 3.00 |
| 18:00 | განა | 10.00 |

**ჯგუფი F 9106**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ხორვატია | 6.20 |
| 18:00 | ავსტრალია | 12.00 |
| 18:00 | იაპონია | 12.00 |
| 18:00 | ბრაზილია | 1.20 |

**ჯგუფი G 9107**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | საფრანგეთი | 1.30 |
| 18:00 | შვეიცარია | 4.80 |
| 18:00 | კორეა | 10.00 |
| 18:00 | ტოგო | 15.00 |

**ჯგუფი H 9108**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ესპანეთი | 1.50 |
| 18:00 | უკრაინა | 3.00 |
| 18:00 | ტუნისი | 8.50 |
| 18:00 | ს.არაბეთი | 30.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.60 | 2.00 |
| 12004 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | ევერტონი-ფულჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12009 | სანდერლენდი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | პორტსმუთი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 12012 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.90 | 1.70 |
| 12013 | არსენალი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12070 | დანდი იუნაიტედი-ლივინგსტონი | 1.70 | 1.90 |
| 12071 | დანფერმლაინი-აბერდინი | 1.70 | 1.90 |
| 12072 | ინვერნესი-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 12074 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1.90 | 1.70 |
| 12075 | მოზერველი-ფოლკირკი | 1.70 | 1.90 |
| 12076 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 2.00 | 1.60 |
| 12097 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 12099 | არმინია-ლევერკუზენი | 2.00 | 1.65 |
| 12100 | დუისბურგი-ჰანოვერი | 1.70 | 1.90 |
| 12101 | კიოლნი-ნიურნბერგი | 1.90 | 1.70 |
| 12102 | მაინცი-მიონხენგლადბახი | 1.90 | 1.70 |
| 12103 | შალკე-აინტრახტი | 1.90 | 1.70 |
| 12105 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 12106 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2.00 | 1.60 |
| 12108 | ვერდერი-ჰერტა | 2.00 | 1.60 |
| 12167 | სიენა-ტრევიზო | 1.70 | 1.90 |
| 12168 | ინტერი-სამპდორია | 1.90 | 1.70 |
| 12170 | ასკოლი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12171 | კალიარი-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12173 | ემპოლი-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 12174 | ლაციო-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 12175 | პარმა-ლივორნო | 1.60 | 2.00 |
| 12176 | პალერმო-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 12177 | მესინა-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 12178 | იუვენტუსი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12209 | სარაგოსა-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 12210 | ვალენსია-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12211 | მალიორკა-ვილარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12212 | ოსასუნა-ბარსელონა | 1.90 | 1.70 |
| 12213 | დეპორტივო-სოსიედადი | 1.90 | 1.70 |
| 12215 | ესპანიოლი-სელტა | 1.60 | 2.00 |
| 12216 | ბეტისი-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 12217 | ალავესი-სევილია | 1.60 | 2.00 |
| 12219 | ბილბაო-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 12220 | ატლეტიკო-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 12233 | ნანსი-პსჟ | 1.45 | 2.20 |
| 12234 | ნანტი-ლილი | 1.45 | 2.20 |
| 12236 | მონაკო-სოშო | 1.55 | 2.00 |
| 12237 | ლიონი-მეცი | 1.70 | 1.90 |
| 12239 | ლანსი-ტრუა | 1.55 | 2.00 |
| 12240 | სტრასბური-ლე მანი | 1.45 | 2.20 |
| 12241 | რენი-აიაჩო | 1.60 | 2.00 |
| 12242 | ბორდო-ტულუზა | 1.55 | 2.00 |
| 12244 | ოსერი-ნიცა | 1.55 | 2.00 |
| 12245 | მარსელი-სტ.ეტიენი | 1.50 | 2.10 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო) კი/არა

| | | | |
|---|---|---|---|
| 13003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ევერტონი-ფულჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | სანდერლენდი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | პორტსმუთი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13012 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13013 | არსენალი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13070 | დანდი იუნაიტედი-ლივინგსტონი | 1.70 | 1.90 |
| 13071 | დანფერმლაინი-აბერდინი | 1.70 | 1.90 |
| 13072 | ინვერნესი-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 13074 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1.70 | 1.90 |
| 13075 | მოზერველი-ფოლკირკი | 1.70 | 1.90 |
| 13076 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 1.70 | 1.90 |
| 13097 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 1.60 | 2.00 |
| 13099 | არმინია-ლევერკუზენი | 1.60 | 2.00 |
| 13100 | დუისბურგი-ჰანოვერი | 1.55 | 2.10 |
| 13101 | კიოლნი-ნიურნბერგი | 1.60 | 2.00 |
| 13102 | მაინცი-მიონხენგლადბახი | 1.60 | 2.00 |
| 13103 | შალკე-აინტრახტი | 1.60 | 2.00 |
| 13105 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 13106 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.60 | 2.00 |
| 13108 | ვერდერი-ჰერტა | 1.60 | 2.00 |
| 13167 | სიენა-ტრევიზო | 1.70 | 1.90 |
| 13168 | ინტერი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13170 | ასკოლი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13171 | კალიარი-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13173 | ემპოლი-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13174 | ლაციო-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13175 | პარმა-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 13176 | პალერმო-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13177 | მესინა-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 13178 | იუვენტუსი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13209 | სარაგოსა-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13210 | ვალენსია-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13211 | მალიორკა-ვილარეალი | 1:70 | 1.90 |
| 13212 | ოსასუნა-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13213 | დეპორტივო-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 13215 | ესპანიოლი-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13216 | ბეტისი-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 13217 | ალავესი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13219 | ბილბაო-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 13220 | ატლეტიკო-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13233 | ნანსი-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 13234 | ნანტი-ლილი | 1.90 | 1.70 |
| 13236 | მონაკო-სოშო | 1.90 | 1.70 |
| 13237 | ლიონი-მეცი | 1.90 | 1.70 |
| 13239 | ლანსი-ტრუა | 1.90 | 1.70 |
| 13240 | სტრასბური-ლე მანი | 1.90 | 1.70 |
| 13241 | რენი-აიაჩო | 1.90 | 1.70 |
| 13242 | ბორდო-ტულუზა | 1.90 | 1.70 |
| 13244 | ოსერი-ნიცა | 1.90 | 1.70 |
| 13245 | მარსელი-სტ.ეტიენი | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 2.20 |
| 14004 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.20 | 2.60 |
| 14006 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 1.80 | 2.00 |
| 14007 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 1.70 | 2.10 |
| 14008 | ევერტონი-ფულჰემი | 1.60 | 2.30 |
| 14009 | სანდერლენდი-უიგანი | 2.00 | 1.80 |
| 14010 | პორტსმუთი-სიტი | 1.90 | 1.80 |
| 14011 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 1.65 | 2.20 |
| 14012 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.15 | 2.70 |
| 14013 | არსენალი-ლივერპული | 1.80 | 1.90 |
| 14070 | დანდი იუნაიტედი-ლივინგსტონი | 1.30 | 2.50 |
| 14071 | დანფერმლაინი-აბერდინი | 2.10 | 1.70 |
| 14072 | ინვერნესი-ჰართსი | 2.20 | 1.65 |
| 14074 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1.14 | 2.50 |
| 14075 | მოზერველი-ფოლკირკი | 1.30 | 2.50 |
| 14076 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 2.60 | 1.15 |
| 14097 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 2.40 | 1.45 |
| 14099 | არმინია-ლევერკუზენი | 1.90 | 1.90 |
| 14100 | დუისბურგი-ჰანოვერი | 1.90 | 1.90 |
| 14101 | კიოლნი-ნიურნბერგი | 1.80 | 2.00 |
| 14102 | მაინცი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 14103 | შალკე-აინტრახტი | 1.20 | 2.60 |
| 14105 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 1.60 | 2.20 |
| 14106 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.25 | 2.50 |
| 14108 | ვერდერი-ჰერტა | 1.30 | 2.50 |
| 14167 | სიენა-ტრევიზო | 1.30 | 2.50 |
| 14168 | ინტერი-სამპდორია | 1.20 | 2.60 |
| 14170 | ასკოლი-რომა | 2.20 | 1.70 |
| 14171 | კალიარი-ფიორენტინა | 1.90 | 1.80 |
| 14173 | ემპოლი-კიევო | 1.90 | 1.90 |
| 14174 | ლაციო-რეჯინა | 1.40 | 2.40 |
| 14175 | პარმა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 14176 | პალერმო-უდინეზე | 1.65 | 2.20 |
| 14177 | მესინა-ლეჩე | 1.60 | 2.30 |
| 14178 | იუვენტუსი-მილანი | 1.80 | 2.00 |
| 14209 | სარაგოსა-ხეტაფე | 1.60 | 2.30 |
| 14210 | ვალენსია-რეალი | 1.80 | 2.00 |
| 14211 | მალიორკა-ვილარეალი | 1.90 | 1.90 |
| 14212 | ოსასუნა-ბარსელონა | 2.30 | 1.50 |
| 14213 | დეპორტივო-სოსიედადი | 1.30 | 2.50 |
| 14215 | ესპანიოლი-სელტა | 1.80 | 1.90 |
| 14216 | ბეტისი-მალაგა | 1.55 | 2.30 |
| 14217 | ალავესი-სევილია | 1.90 | 1.90 |
| 14219 | ბილბაო-კადისი | 1.55 | 2.30 |
| 14220 | ატლეტიკო-რასინგი | 1.30 | 2.50 |
| 14233 | ნანსი-პსჟ | 1.90 | 1.90 |
| 14234 | ნანტი-ლილი | 1.90 | 1.90 |
| 14236 | მონაკო-სოშო | 1.55 | 2.30 |
| 14237 | ლიონი-მეცი | 1.08 | 2.90 |
| 14239 | ლანსი-ტრუა | 1.30 | 2.50 |
| 14240 | სტრასბური-ლე მანი | 1.80 | 2.00 |
| 14241 | რენი-აიაჩო | 1.40 | 2.40 |
| 14242 | ბორდო-ტულუზა | 1.30 | 2.50 |
| 14244 | ოსერი-ნიცა | 1.60 | 2.30 |
| 14245 | მარსელი-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.30 |

## ᲥᲐᲚᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲑᲣᲠᲒᲘ. ᲠᲣᲡᲔᲗᲘ 10 - 27 მარტი

# ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ ᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲓᲜᲔᲜ

**10-27 ᲛᲐᲠᲢᲡ** ეკატერინებურგი ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. გათამაშებაში პლანეტის 64 უჭკვიანესი ქალბატონი მიიღებს მონაწილეობას და მათ შორის 6 ქართველია — მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ქეთევან არახამია-გრანტი, ნინო ხურციძე, მაკა ფურცელაძე და ლელა ჯავახიშვილი.

ორგანიზატორებმა რეიტინგის ხუთი ლიდერი და წინა ჩემპიონატის გამარჯვებული ბულგარელი ანტოანეტა სტეფანოვა ნახევარფინალისტებთან ერთად უკონკურსოდ დაუშვეს გათამაშებაზე, ერთიც ფიდეს პრეზიდენტის სიმპათიით მოხვდა, ხოლო დანარჩენებმა სხვადასხვა შეჯიბრებით გაიკაფეს გზა ეკატერინბურგისკენ. მსოფლიოს ხუთგზის



ჩემპიონატის დებიუტანტი
მაკა ფურცელაძე

ჩემპიონი ჩიბურდანიძე, როგორც ნახევარფინალისტი კონკურსის გარეშე მოხვდა ჩემპიონატზე, დანარჩენმა ხუთმა ქართველმა კი შარშან კიშინიოვში ევროპის ჩემპიონატზე გამსვლელი ადგილები აიღო.

ევროპა 37 მოჭადრაკით წარდგება ჩემპიონატზე, აზია 16-ით, ამერიკა 8-ით, ხოლო აფრიკა 3-ით.

ყველაზე ბევრი წარმომადგენელი მასპინძლებს ჰყავთ. ჩვენი ჩრდილო მეზობლები ჩემპიონატზე 13 სპორტსმენით წარდგებიან. მეორე ჩინეთია 9 მანდილოსნით, მესამე კი ჩვენ ექვსი დიდოსტატით.

რეიტინგის მიხედვით, ფავორიტი ინდოელი ჰუმპუ კონერუა, მან ორი წლის წინ ნახევარფინალამდე მიაღწია. მეოთხეა ჩიბურდანიძე და სამი საფეხურით უსწრებს მოქმედ ჩემპიონ სტეფანოვას.

ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 450 ათასი დოლარია, გამარჯვებული აქედან 70 ათასს მიიღებს.

ჩვენი მოჭადრაკეები პირველ ეტაპზე ამ მეტოქეებს ხვდებიან:

მაია ჩიბურდანიძე — ინგრის რივერა (კოლუმბია)

ნანა ძაგნიძე — ევგენია ოვოდი (რუსეთი)

ქეთევან არახამია-გრანტი — მარტა ზეილინსკა (პოლონეთი)

ნინო ხურციძე — იუ ვონი (ჩინეთი)

მაკა ფურცელაძე — ალისა გალიამოვა (რუსეთი)

ლელა ჯავახიშვილი — ირინა ტუროვა (რუსეთი)

ჩემპიონატის დაწყებამდე ქართველმა მოჭადრაკეებმა თავიანთ მეტოქეები და შანსები შეაფასეს.

ლელა ჯავახიშვილი: „ტუროვასთან არ მითამაშია, მაგრამ ვიცი, რომ ძლიერი მოჭადრაკეა და ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე ადგილზე გავიდა. ეკატერინბურგში მომზადებული მივდივარ, ფედერაციამ წლეულს კარგი შეკრება გაგვიხერხა, მე და ფურცელაძე ჯერ ბაკურიანში ფიზიკურად მოვემზადეთ, შემდეგ კი თბილისში დიდოსტატ ზვიად იზორიასთან გავიარეთ სპარინგი."

მაკა ფურცელაძე: „ალისა გალიამოვა საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკეა და რთული ბრძოლები მელის. ბოლო წლებში ტურნირებზე ხშირად აღარ ჩანს, თუმც ძველ ფორმას მუდამ ინარჩუნებს. ეს ჩემთვის პირველი მსოფლიოს ჩემპიონატია და წარმატებისთვის ძალებს არ დავზოგავ. ჩემპიონატი ნოკაუტის სტემით წარიმართება და შეცდომის დაშვების უფლება არავის აქვს."

ნინო ხურციძე: „იუ ვონს შესახებ დიდი ინფორმაცია არ მაქვს, თუმც ვიცი, რომ ხელწამოსაკრავი მოჭადრაკე ნამდვილად არ არის."

ნანა ძაგნიძე: „პირველი წრისთვის ოვოდი ნორმალური მეტოქეა, არც ძალიან ძლიერია და არც ძალიან სუსტი. ჩემპიონატისთვის განსაკუთრებულად ვემზადები და ვეცდები, ნახევარფინალამდე მივიდე, აი, მერე კი..."

**ᲚᲣᲨᲐ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ**

## ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ



ვერა მენჩიკი

მსოფლიოს ქალთა პირველობა 1927 წლიდან იმართება და პირველი ჩემპიონი ბრიტანელი ვერა მენჩიკი გახდა. იგი 17 წლის განმავლობაში ფლობდა ტიტულს და ვაჟთა დიდ ტურნირებშიც მონაწილეობდა. სამწუხაროდ, მენჩიკი 1944 წელს მეორე მსოფლიო ომში ლონდონის დაბომბვისას დაიღუპა.

ბრიტანელი 1950 წელს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ლუდმილა რუდენკომ შეცვალა, თუმც სამ წელიწადში გვირგვინი თანამემამულე ელისაბეტ ბიკოვასთან დათმო. 1956 წელს ბიკოვამ ჩემპიონობა ასევე საბჭოელ ოლგა რუდზოვასთან დაკარგა, მაგრამ სამ წელიწადში დაიბრუნა და ოთხი წელი შეინარჩუნა.

ამის შემდეგ ქალთა ჭადრაკში ქართული ერა დადგა, რომელიც 29 წელი გაგრძელდა. 1962 წელს ჩემპიონი 21 წლის ნონა გაფრინდაშვილი გახდა, მან ხუთჯერ დაიცვა ტიტული და [illegible] ჯამში 16 წლის განმავლობაში ფლობდა. ქართველი მოჭადრაკე ბრწყინვალედ თამაშობდა ვაჟთა ტურნირებშიც და ქალთა ჭადრაკის ისტორიაში პირველად მიენიჭა დიდოსტატის წოდება ვაჟთა შორის. გაფრინდაშვილი 1978 წელს თანამემამულემ, 17 წლის მაია ჩიბურდანიძემ დაამარცხა და მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონიც შეიქნა. მაიამ ტიტული ოთხჯერ დაიცვა, თუმც 1991 წელს იგი ჩინელ ქსე ჟუნთან დაკარგა. ჩინელმა ქალბატონმა გვირგვინი 1993 წელს ნანა იოსელიანთან კი დაიცვა, მაგრამ 1996-ში უნგრელმა ჟუჟა პოლგარმა აართვა. სამ წელიწადში ჟუნმა ტიტული დაიბრუნა და 2001-ში თანამემამულე ჟუ ჩენს დაუთმო. როგორც იცით, ამჟამად ჩემპიონად ბულგარელი ანტოანეტა სტეფანოვა ითვლება, რომელმაც ორი წლის წინ ნოკაუტ-ტურნირში იმარჯვა და ფინალში რუს ეკატერინა კოვალენსკაიას მოუგო.



ანტოანეტა სტეფანოვა

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ 10–12 ᲛᲐᲠᲢᲘ

# ᲗᲐᲡᲘ ᲡᲐᲛ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲓᲐᲘᲪᲚᲔᲑᲐ

*სათასო ციებ-ცხელებამ ევროპას რა ხანია, გადაუარა, ჩვენთან კი თასს ამ პარასკევ-უქმეებზე გაათამაშებენ. დღეს, ხვალ და ზეგ ვერის ბაღში საქართველოს თასად წოდებული ბლიც-ტურნირი გაიმართება, რომელშიც უმაღლესი ლიგის ყველა გუნდი ოლიმპიური სისტემით მიიღებს მონაწილეობას*



თასის შარშანდელი მფლობელი სტუ

**ᲩᲕᲔᲜᲨᲘ** თასს ჩვეულებრივ ზამთარში ათამაშებდნენ, მაგრამ წლევანდელი იანვარი ძალიან სუსხიანი გამოდგა, რუსეთმაც ენერგობლოკადა მოგვიწყო და 28-31 გასათამაშებელი თასიც თაროზე შემოდეს. იმთავითვე ითქვა, რომ გადადებული ტურნირი მარტში გაიმართებოდა და ჰა, დღეიდან რვავე უმაღლესლიგელი მეოთხედფინალიდან შეებმება ერთმანეთს.

ეს ტურნირი სამდღიანი კია, მაგრამ მნიშვნელობა და ინტრიგა არ აკლია. თასის გათამაშებას ჩვენში დიდი ტრადიცია არ აქვს, მეხუთედ იმართება, მაგრამ მისი მოგების სურვილი გუნდებს საკმარისზე მეტად ულვივით.

თუნდაც რუსთავის „აზოტი" ავიღოთ. ქვემოქართლელებმა შუა იანვარში ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი მოიგეს, რის შემდეგაც თქვეს, ეს ტურნირი თასითვის მოსამზადებლად გამოვიყენეთ და კარგ ფორმაშიც ვიყავითო. თასი რომ გადაიდო, ყველაზე მეტად ისინი დარჩნენ უკმაყოფილონი. „აზოტის" თავკაცმა ოთარ ხმელიძემ მაშინ განაცხადა, თასის მოგება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია და მარტშიც ამისთვის ვიბრძოლებთო.

თასს ალბათ ახალი მფლობელი გამოუჩნდება, რაკი მისი შარშანდელი მომგები სტუ გვარიანად დაუძლურებულია.

„ჩვენი გამარჯვების შანსი, რა თქმა უნდა, შარშანდელთან შედარებით გაცილებით მცირეა, თუმც ბურთი მრგვალია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს — ამბობს ტექნიკოსთა თავკაცი ნუგზარ ჭეიშვილი — მეოთხედფინალში შედარებით სუსტი მეტოქე გვყავს, სოხუმელებს ვხვდებით და თავს უფლებას ვაძლევთ, რამდენიმე ტრავმირებული დავასვენოთ. ძალიან გაგვაძლიერა შიო ხეცურიანმა, რომელიც რამდენიმე კვირა ვერ გვეხმარებოდა."

მეოთხედფინალური მატჩები დიდად საინტერესო არ უნდა გამოვიდეს. ჰა, ჰა, „დინამოსა" და „თსუ-ნიკორას" დაპირისპირებამ გამოაფხიზლოს მაყურებელი, თორემ დანარჩენი წყვილების ორთაბრძოლებს არც კი შეეხედება, ისეთი ცალფარა გამოვა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, აგერ სათასო წყვილებიცა და სატურნირო ბადეც, თავად განსაჯეთ, რომელ მატჩს აირჩევთ საყურებლად...

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲔᲠᲢᲐᲘᲐ**

| ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ | | ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ | ᲤᲘᲜᲐᲚᲘ |
|---|---|---|---|
| ᲐᲕᲘᲐᲛᲨᲔᲜᲘ – ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ | 10 მარტი, 12.00 | 11 მარტი, 13.00 | 12 მარტი, 15.00 |
| ᲐᲖᲝᲢᲘ – ᲛᲐᲙᲐᲑᲘ | 10 მარტი, 14.00 | | |
| ᲡᲢᲣ – ᲡᲡᲣ | 10 მარტი, 16.00 | 11 მარტი, 15.00 | |
| ᲗᲡᲣ-ᲜᲘᲙᲝᲠᲐ – ᲓᲘᲜᲐᲛᲝ | 10 მარტი, 18.00 | | |

ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშები, ბუნებრივია, მხოლოდ შედეგები — წამები და ქულები არ იყო. ეს თამაშები ბევრისთვის სხვა მხრივაც გახლდათ საყურადღებო. თავიანთი საქმიანობიდან თუ პროფესიიდან გამომდინარე, ეს „თეთრი ოლიმპიადა" არქიტექტორებს არქიტექტორული თვალსაზრისით აინტერესებდათ, ინჟინრებს — საინჟინრო კონსტრუქციებით, საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებს — ამ საქმეში თანამედროვე მიღწევებით, მომავალი თამაშების მასპინძლებსა თუ ხელში ჩაგდების მოსურნეებს კი ტურინული გამოცდილების გაცნობა სურდათ.

მახსენდება ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადა, სადაც ყავისფერ ქურთუკებსა და შლაპებში გამოწყობილი მომდევნო ოლიმპიადის მასპინძლები, სოლტლეიკსიტელები ყველა ოლიმპიურ ბაზაზე ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ და დროდადრო უბის წიგნაკებში რაღაცას ინიშნავდნენ.

მსგავსი სცენები არც პირველი იყო და არც ბოლო, მაგრამ წინათ გამოცდილების გაზიარება, თუ შეიძლება ითქვას, „ველურად" ხდებოდა, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადიდან კი ამან უკვე „ცივილიზებული" ფორმა მიიღო. მეტიც, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მსგავსი „დესანტების" გადასხმა დააკანონა და ტურინი გახდა მესამე ქალაქი, სადაც ასეთი დელეგაციები ოფიციალური სტატუსით ჩავიდნენ. მათ შორის იყვნენ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მოსურნე ქართველებიც, რომლებიც საბორჯომო ოლიმპიადისთვის ფიქრობენ.

ტურინის ოლიმპიადაზე მივლინებული ჩვენი დელეგაციის კოორდინატორი გახლდათ თამაზ თევზაძე, რომელსაც ინტერვიუ ვთხოვეთ



# ტურინული გაკვეთილები

— ტურინში ალბათ „ბორჯომი 2014"-ის კონკურენტი ქალაქების წარმომადგენლებიც იქნებოდნენ.

— რა თქმა უნდა, ჩვენს ათკაციან დელეგაციასთან ერთად სხვა ექვსივე ქალაქის — ალმათის, ზალცბურგის, პიონჩანის, სოფიის, სოჭისა და ხაკას წარმომადგენლები იყვნენ. იქვე იყვნენ როგორც 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ვანკუვერის, ისე 2008 წლის პეკინის და 2012 წლის ლონდონის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი საორგანიზაციო კომიტეტის მენეჯერთა გუნდებიც.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული ყველა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს ავალდებულებს, რომ თავიანთ ბიუჯეტებში გაითვალისწინონ ამგვარი დელეგაციებისთვის ხარჯები, განურჩევლად იმისა, მენეჯერთა ამგვარი გუნდები თეთრი ოლიმპიადის მასპინძლები არიან თუ მწვანესი. ამგვარი პროგრამების უზრუნველსაყოფად თავად სოკ-საც გამოყოფილი აქვს საშტატო ერთეულები და მუშაობს აპლიკანტ ქალაქებთან ურთიერთობის ოფისიც. მათთან საქმიანობით დაკავებულია სოკ-ის სპორტის დეპარტამენტიც, სოკ-ის დამოუკიდებელ მრჩეველთა ჯგუფებიც, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა ექსპერტებიც...

— და რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი დელეგაციისთვის ეს ვიზიტი?

— ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ტურინში მივიღეთ, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ეს ჩემთვის პირველი ზამთრის ოლიმპიადა იყო. თუმცა, მანამდე ვიყავი ატლანტისა და ათენის ოლიმპიურ თამაშებზე, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მეგონა, რომ საკმაო რამ ვიცოდი, ახლა კი, როცა საქმეში შიგნიდან ჩავიხედე, აღმოჩნდა, რომ ბევრ რამეზე წარმოდგენაც არ მქონია. მაგალითად, მინახავს, თუ როგორ მუშაობენ ჟურნალისტები და ფოტორეპორტიორები უზარმაზარ მთავარ პრესცენტრში, მაგრამ იქ, კულისებში ყოფილა უხილავიც, რასაც თავად კორესპონდენტებიც ვერ ხედავენ, თუნდაც ფოტოლაბორატორიები ავიღოთ, ან გნებავთ, უსაფრთხოების სამსახური. ის შთამბეჭდავი ზომები, რასაც ხედავენ სპორტსმენები, ჟურნალისტები, დელეგაციათა ხელმძღვანელები თუ ტურისტები, არაფერი ყოფილა იმასთან შედარებით, რაც დაფარულია და არ ჩანს. კულისებს მიღმა უამრავი აპარატურაა, რომლის მზერაც არათუ გადაჭედილ ტრიბუნაზე თითოეულ გულშემატკივრამდე, არამედ, შეიძლება ითქვას, ქვესკნელშიც კი აღწევს.

ტურინში ჩვენი ვიზიტი ითვალისწინებდა როგორც აუდიტორულ მუშაობას, ისე პრაქტიკულ გასვლებს. სულ 40 ვიზიტი მოგვიხდა როგორც სამივე ოლიმპიურ სოფელში, ისე ყველა სპორტულ ობიექტებზე, მათ შორის როგორც მუდმივ, ისე დროებით და დამხმარე ნაგებობებში. გავეცანით ოლიმპიური სიმბოლიკით დამშვენებული სუვენირებით ვაჭრობის ადგილებს, კვების ობიექტებს, პრესცენტრის საქმიანობას... ჩვენმა ვიზიტმა მოიცვა 37 ფუნქციონალური თემა: ტრანსპორტი, კომუნიკაციები, უსაფრთხოების ბაზები, ოლიმპიადის გახსნა-დახურვისა თუ დაჯილდოების ცერემონიალები, პროტოკოლი, ოლიმპიური ოჯახის მომსახურეობა... ზეპირი მოხსენებების გარდა გადმოგვცეს უამრავი ოფიციალური დოკუმენტი. თავის მხრივ, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადმოგვცა სქელტანიანი წიგნი, რომელიც უკლებლივ ყველა თემატიკას მოიცავდა. მათ შორის იყო კითხვა და პასუხი ყველაფერზე, რაც კი შეიძლება ადამიანს დაებადოს.

— მას შემდეგ, რაც ოლიმპიურ სამზარეულოში ჩაიხედეთ, ჩვენი დელეგაციის წევრები ხომ არ შედრკნენ, ეს სად გავყავით თავი, ამ საქმეს ვერ გადავაგორებთო.

— რატომ, თუ კაცი მოინდომებს, მიუღწეველი არაფერია. ამ ცდაზე თუ ოლიმპიადის მასპინძლობის უფლებას ვერ მოვიპოვებთ, კიდევ ვცდით. აგერ, ზალცბურგი და პიონჩანი მესამე და მეოთხე ცდაზე მიდიან. ჩვენთვის უკვე დიდი საქმეა, რომ ბორჯომი აპლიკანტი ქალაქია და თუ ამ ზაფხულს კანდიდატი ქალაქის სახელსაც დავიმსახურებთ, უკვე დიდი მიღწევა იქნება, რადგან საქართველოს შეეძლება ამ წოდებით კიდევ ერთ წელიწადს ისარგებლოს ინვესტიციების მოსაზიდად და ინფრასტრუქტურას განსავითარებლად. ბორჯომის კანდიდატ ქალაქად გახდომა უდიდეს გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის იმიჯზეც...

— ტურინში ალბათ შანსებზეც იქნებოდა საუბარი.

— საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში არსებობს ეთიკის კომისია, რომელიც ამ მხრივ კრძალავს მეტოქეთა შანსებზე არაკორექტულ გამონათქვამებს. ტურინში ჩვენ ამ თემაზეც მოვისმინეთ ლექცია...

— მაგრამ კულისებს მიღმა აპლიკანტი ქალაქების წარმომადგენლებს ალბათ მაინც გექნებოდათ საუბარი, ხუმრობით მაინც. ვიცი, რომ ლოზანაში აპლიკანტი ქალაქების წარმომადგენელთა ვიზიტისას კორეელებს უთქვამთ ბორჯომი, სოფია და სოჭი შავი ზღვის ქვეყნების ქალაქებია, ადექით და სამივემ ერთ ოლიმპიადას უმასპინძლეთ, შავი ზღვის აუზის თამაშები ჩაატარეთო თუ რაღაც ამდაგვარი.

— მსგავსი რამ მართლაც იყო, ოღონდ ეს ხმამაღლა კი არა, ისე, მეგობრულად, ხუმრობით და მხარზე ხელის ტყაპუნით ითქვა.

— კი მაგრამ, ტურინელთა გამოცდილების გაზიარება ცოტა უხერხული ხომ არ იყო მაშინ, როცა მათი საორგანიზაციო კომიტეტის მიმართ კრიტიკული შენიშვნებიც გამოითქვა.

— არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ ეს საუკეთესო ოლიმპიური თამაშები იყო. მისმა საორგანიზაციო კომიტეტმა საამისოდ ყველაფერი იღონა, ტრანსპორტის მუშაობაც კი, რომელიც ყველა თამაშებზე, განსაკუთრებით კი დასაწყისში მეტ-ნაკლებად მოიკოჭლებს, იქ უნაკლო იყო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**




შედგება ბორჯომი ოლიმპიურ კიბეზე?


თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ხელმძღვანელი პროფ. თამაზ თამაზაშვილი



• უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
• უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
• თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
• კონფიდენციალურობა, გარანტირებული შედეგები
• შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრავმისა და დამწვრობის შემდეგ
• თმა მუდმივად იზრდება, აღარასდროს ცვივა და იჭრება ჩვეულებრივად
• ფასი იაფი და ხელმისაწვდომი

HAIRLINE INTERNATIONAL

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში

ქავთარაძის 16 (სამკერვალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62



www.hairline.ge


ფიგურული სრიალი

# ქართულ წყვილს ქართული თუ უშველის

ოთარ ჯაფარიძისა და ეკატერინა ზაიკინას წყვილი ლიუბლიანის ყინულზე პოზიციებს თმობს. სლოვენიაში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გუშინ მეორე დღე იყო და ფიგურულად მოცეკვავე პირველმა ქართულმა წყვილმა შედეგი გაიუარესა.

ქართულპასპორტიანმა ტოლიატელმა ზაიკინამ და თბილისელმა ჯაფარიძემ ორიგინალური პროგრამა ლათინურ მოტივებზე, ჩა-ჩას და სამბას ელემენტებით შეასრულეს. თორმეტმა მსაჯმა ქართული წყვილის ცეკვა 13,02 ქულით შეაფასა. სავალდებულო პროგრამის შემდეგ 21,40 ქულით ჩვენებს მე-20 ადგილი ეკავათ, ახლა 34,42 ქულა აქვთ და 21-ზე არიან.

16 წლის ზაიკინა და 19 წლის ჯაფარიძე ლიდერთა ათეულის ბოლოადგილოსნებს 18 ქულით ჩამორჩებიან. ამქარს კი კვლავაც კანადელები ტესა ვიტი და სკოტ მოირი ლიდერობენ 55,13 ქულით.

დებიუტანტი ქართველები დღეს თავისუფალ პროგრამასაც ჩაიცეკვებენ. „სუხიშვილების", „სულიკოს" და „ლეკურის" მოტივებზე ცეკვით იმედია, ჩვენები მსაჯებს მეტს ქულებს დაათმობინებენ და ოცეულის მიღმა არ დარჩებიან.

**ბაჩო სვანიძე**

# მიხაელი შუმახერულს ამბობს
# მე დავბრუნდები!

*სპარსეთის ყურეში კუნძულ ბაჰრეინის დიდი პრიზის გათამაშებით ზეგ დაიწყება ფორმულა 1-ის რიგით 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. დამდეგ სეზონში 18 რბოლა ჩატარდება, შარშანდელზე ერთით ნაკლები. გაუქმდა ტრადიციული უფულობისგან ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მდგარი ბელგიური ეტაპი*

Formula 1

**სამაგიეროდ,** მატებაა მონაწილეთა შორის. გათამაშებაში ერთით მეტი, თერთმეტი გუნდი ჩაებმება. ესაა მესამე იაპონური საჯინიბო „სუპერ აგური F1“, რომელსაც ძრავებით „ჰონდა“ მოამარაგებს. გუნდის ბოსი 90-იან წლებში ამომავალი მზის ქვეყნელი ცნობილი მეფორმულე აგური სუძუკია. ახალბედა საჯინიბოს 45 წლის შეფი მომავალს იმედით კი უყურებს, თუმც არც ილუზიები აქვს სწრაფ წარმატებაზე: „ჩვენ ფორმულა 1-ში ხანგრძლივი თანამშრომლობისთვის მოვედით. რა თქმა უნდა, არ ველით, რომ თავიდანვე კონკურენტუნარიანები ვიქნებით. ამდენად სასტარტო რბოლები ახალი გუნდისთვის სავარჯიშო იქნება. ორი-სამი წლის შემდეგ ჩვენი პილოტები პოდიუმზე ადგილების დაკავებას დაიწყებენ, მე კი 50 წლისა სხვა საქმეს მოვკიდებ ხელს.“

„სამეფო რბოლების“ წლევანდელ ქარავანში კიდევ ოთხ ახალი დასახელების გუნდს ვიხილავთ: „BMW“ (ყოფილი „ზაუბერი“), „ჰონდა“ ყოფილი (BAR), „სკუდერია ტორო როსო“ (ყოფილი „მინარდი“) და „მიდლენდ MF1“ (ყოფილი „ჯორდანი“).

„მიდლენდისა“ და „ტორო როსოსი“ რა მოგახსენოთ, მაგრამ ავტოვეშაპები — BMW და „ჰონდა“ რეალურად იბრძოლებენ ექვსეულში მოსახვედრად.

ცხადია, ფავორიტებად შარშანდელი პრიზიორები „რენო“, „მაკლარენი“ და „ფერარი“ ითვლებიან. 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 24 წლის რენოელი ესპანელი ფერნანდო ალონსო უპირველეს სატიტულო მეტოქეებად ფერარელ მიხაელ შუმახერსა და ჰონდელ ჯენსონ ბატონს თვლის: „მიხაელი მუდამ ბრძოლაშია, მან მშვენივრად იცის, როგორ მიაღწიოს წარმატებას და სურს, მალე დაივიწყოს შარშანდელი პრობლემები. თანაც მას ზურგს ჩინებული გუნდი უმაგრებს და ახალი „ფერარი 248 F1“ საგანგებოდ მისთვისაა შექმნილი. ვფიქრობ, „ფერარი“ და „ბრიჯსტოუნი“ ყველაფერს იღონებენ, რომ შუმახერმა ტიტული დაიბრუნოს. „ჰონდას“ მეტად სწრაფი და კონკურენტუნარიანი ბოლიდები აქვს. ბარიკელო და ბატონი გამოცდილებიც არიან და შეუძლიათ რბოლის მოგება, ცხადია, თუ ამის შანსი მიეცემათ. ამ წყვილიდან მე უპირატესობას ბატონს მივანიჭებდი. რაც შეეხება „მაკლარენს“, რაიკონენი და მონტოია მგონია, თავიდან სამ-ოთხ რბოლაში რამდენიმე მნიშვნელოვან ქულას დაკარგავენ, მერე კი ანაზღაურებას შეეცდებიან. ვნახოთ.“

ბუნებრივია, იმედიანადაა შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი კიმი რაიკონენი. 25 წლის ფინელი და მისი 30 წლის კოლუმბიელი მეწყვილე ხუან-პაბლო მონტოია გუნდურ პირველობასა და პირადულ სამეულს უმიზნებენ.

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ 37 წლის მიხაელ შუმახერს წლეულს „სკუდერიაში“ მეწყვილედ რუბენს ბარიკელოს ნაცვლად, ბრაზილიელივე ფელიპე მასა ეყოლება. ეს ცნობისთვის, თორემ გერმანელი „წითელი ბარონისთვის“ პარტნიორი ხომ მხოლოდ როგორც დამხმარე მძღოლია. სწორედ ამიტომ გაიქცა „ფერარიდან“ რუბინიო და „ჰონდით“ უპირებს საჩემპიონოდ შეჭიდებას.

მაგრამ ვფიქრობთ, 34 წლის ბრაზილიელ ორგზის ვიცე-ჩემპიონს გაპირველების შანსი თითქმის არ აქვს. ბრიტანული საბუქმეიკერო კანტორა „უილიამს ჰილიც“ ასე თვლის და 2006 წლის ჩემპიონატში გამარჯვებისთვის უმაღლეს კოეფიციენტს შარშანდელ მესამე პრიზიორ მიხაელ შუმახერს აძლევს. შუმის „კუშია“ 3.25, უფრო მეტი, ვიდრე ჩემპიონ ალონსოსა და ვიცე-ჩემპიონ რაიკონენისა — 3.75. შემდეგ მოდიან ბატონი და მონტოია — 10.0, ბარიკელო — 12.0. გუნდურ პირველობას კი „მაკლარენს“ უწინასწარმეტყველებენ.

შუმახერი მუჯელოში, „ფერარის“ ტრასაზე უამინდობის გამო, ბოლო დღეებში უხეირო ტესტების მიუხედავად, იმედიანადაა და მერვე ტიტულზე ლაპარაკობს: „დარწმუნებული ვარ, რომ ახალთახალი „ფერარი 248 F1“ საჩემპიონო ბრძოლის საშუალებას მომცემს. მართალია, ბოლო ვარჯიშებზე დაგეგმილი დისტანცია ვერ გავიარეთ, მაგრამ მჯერა, მანქანა მალე იტყვის თავის სიტყვას. თუნდაც საწყისი რბოლები რომ ვერც მოვიგოთ, ბოლიდი სეზონის მსვლელობისას მოუმატებს, ეს კი მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენ სეზონს წარმატების იმედით ვიწყებთ და მეც, მოტივაციის მხრივ, არანაირი პრობლემა არ მაქვს.“

რა თქმა უნდა, იმედიანად სხვებიც არიან. ვნახოთ, ვინ შედგება კვარცხლბეკზე შვიდთვიანი მარათონის ბოლოს.

**გია ახალაძე**



წლევანდელი სეზონი ბაჰრეინის სუპერტრასაზე გაიხსნება

## კალათბურთი

### NBA რეგულარული ჩემპიონატი

8 მარტი

**ტორონტო 97:98 კლივლენდი**
ტორონტო: პიტერსონი (31), ჯეიმსი (30)
კლივლენდი: ჯეიმსი (35)

**დეტროიტი 106:101 ჩიკაგო**
დეტროიტი: ბილაფსი (27), რ. ვოლესი (25), ჰამილტონი (24)
ჩიკაგო: გორდონი (28), ნოჩიონი (23)

**მაიამი 118:112 ვაშინგტონი**
მაიამი: ვეიდი (40), უილიამსი (26) ონილი (19 ქულა, 11 მოხსნა)
ვაშინგტონი: არენასი (28), დანიელსი (19), ბატლერი (19), ჯემისონი (19)

**მილუოკი 116:123 საკრამენტო**
მილუოკი: რედი (32), ფორდი (24 ქულა, 12 პასი)
საკრამენტო: ბიბი (39), ტომასი (19 ქულა, 12 მოხსნა)

**იუტა 96:93 მინესოტა**
იუტა: უილიამსი (24), კირილენკო (15 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი, 8 დაფარება), ჰარპრინგი (15)
მინესოტა: გარნეტი (26 ქულა, 13 მოხსნა), იარიჩი (20)

**ბოსტონი 104:101 ფილადელფია**
ბოსტონი: პირსი (31 ქულა, 12 მოხსნა, 10 პასი), გომესი (29)
ფილადელფია: აივერსონი (32), ვებერი (18), იგუდალა (15)

**შარლოტი 104:101 გ. სტეიტი**
შარლოტი: ჯონსი (29), ვოლესი (17), ნაითი (14 ქულა, 10 პასი)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (27)

**ნიუ ორლეანი 107:113 ლეიკერსი**
ნიუ ორლეანი: ვესტი (25), პოლი (22 ქულა, 10 პასი), კლაქსტონი (22)
ლეიკერსი: ბრაიანტი (40), ოდომი (18 ქულა, 17 მოხსნა)

**ჰიუსტონი 103:99 ინდიანა**
ჰიუსტონი: მინი (38 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება)
ინდიანა: სტოიაკოვიჩი (29), ჯეკსონი (23), ჰარისონი (15)

**სიეტლი 74:99 მემფისი**
სიეტლი: ალენი (18)
მემფისი: გასოლი (21 ქულა, 12 მოხსნა, 12 პასი), ცაკალიდისი (17 ქულა, 15 მოხსნა), ეტკინსი (15)

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

8 მარტი

**ფილადელფია 3:2 კაროლინა**
*0:1 1:1 1:0 0:0 1:0*
*ბულიტების სერიაში*
0:1 უილიამსი (4), 1:1 უმბერგერი (27), 1:2 უიტნი (38), 2:2 მეიერი (60), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: განიე

**ატლანტა 3:2 რეინჯერსი**
*1:1 1:1 0:0 0:0 1:0*
*ბულიტების სერიაში*
1:0 კოვალჩუკი (2), 1:1 იაგრი (7), 2:1 ობენი (39), 2:2 პოკი (40), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: ჰოსა

**ფლორიდა 6:2 ოტავა**
*1:0 2:1 3:1*
1:0 შტუმპელი (19), 1:1 შეფერი (22), 2:1 ჰორტონი(23), 3:1 შტუმპელი (28), 4:1 ჟელინა (41), 5:1 ჰორტონი (42), 5:2 ვერმეტი (43), 6:2 ოლეში (60)

**ვაშინგტონი 6:3 პიტსბურგი**
*3:1 1:1 2:1*
0:1 არმსტრონგი (3), 1:1 კლაიმერი (5), 2:1 კლარკი (12), 3:1 მაიესკი (17), 3:2 ლეკლერი (30) 4:2 ზუბრუსი (36), 4:3 მელოუნი (45), 5:3 ოვეჩკინი (46), 6:3 პეტინგერი (60)

## ფეხბურთი

### ჰოლანდია

მეორე დივიზიონი
XXXIII ტური

**ოსი 0:1 აპელდორნი**

### შოტლანდია

ასოციაციის თასი
1/4 ფინალი. გადათამაშება

***დანდი*** **3:2დ.დ.(2:2) ჰამილტონი**

### თურქეთი

თასის მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

**დენიზლი 1:0 სამსუნი**

**ბეშიქთაში 2:0 ქაისერი**

### როიალ ლიგა 2005-2006

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

***მიდტიულანდი (დანია)*** **1:0 ლინი (ნორვეგია) (3:1)**
**ჰამარბი (შვედეთი) 2:0(პენ.0:3)** ***კოპენჰაგენი (დანია)*** **(0:2)**
**ვოლერენგა (ნორვეგია) 1:3** ***იურგორდენი (შვედეთი)*** **(1:2)**
**ლილესტრიომი (ნორვეგია) — გიოტებორგი (შვედეთი) (0:0)** გადაიდო

### უეფას თასი 2005-2006
### მერვედფინალი. I მატჩები. წუხელ

**რაპიდი (რუმინეთი) 2:0 ჰამბურგი (გერმანია)**
1:0 დ. ნიკულაე (45), 2:0 ბუგა (88)

**პალერმო (იტალია) 1:0 შალკე (გერმანია)**
1:0 ბრიენცა (15)
პალერმო: ანდუხარი, კონტეპი, ტერლიცი, ბარძალი, აკარდი, ბარონე, კოდრია, ჯოვანი ტედესკო (მუტარელი 61), სანტანა, ბრიენცა (მ. გონსალესი 70), გოდეაში (კარაჩოლო 88)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
შალკე: ფ. როსტი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, კობიაშვილი (დ. როდრიგესი 78), ფ. ერნსტი, კ. პოულსენი, ბაირამოვიჩი, სანდი, ასამოა (გ. ვარელა 81), ლარსენი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: ბარონე, რაფინია
მსაჯი: ერიკ ბრაამჰარი (ჰოლანდია)
10 581 მაყურებელი

**სტიაუა (რუმინეთი) 0:0 ბეტისი (ესპანეთი)**

**ლილი (საფრანგეთი) 1:0 სევილია (ესპანეთი)**
1:0 დერნისი (24)

**ბაზელი (შვეიცარია) 2:0 სტრასბური (საფრანგეთი)**
1:0 მ. დელგადო (8), 2:0 კუზმანოვიჩი (89)

**მარსელი (საფრანგეთი) 0:1 ზენიტი (რუსეთი)**
0:1 არშავინი (51)

**უდინეზე (იტალია) 0:0 ლევსკი (ბულგარეთი)**

**მიდლსბრო (ინგლისი) 1:0 რომა (იტალია)**
1:0 აიეგბენი (123)

ევროპის ერთა თასი 2006. მესამე ტური

## საქართველო VS პორტუგალია

11 მარტი. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 14 საათი

# ბავშვებმა ბორჯღალოსნები გინებით გააოცეს
# ასე ყოველთვის წააგებ




**პორტუგალიასთან** ჯახის წინ გუშინ საღამოს საქართველოს ნაკრებმა ბოლოსწინა ვარჯიში გამართა. ბორჯღალოსნებს „შევარდენის" სტადიონზე მისვლა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა დაასწრო. 21-წლამდელები უფროსებთან სასპარინგოდ მოვიდნენ. სანამ დიდები მოვიდოდნენ, ახალგაზრდებმა ფეხბურთის ცქერით შეიქციეს თავი. ასე, 10-13 წლის ბავშვები თამაშობდნენ. როცა მსაჯმა საფინალოდ ჩასტვინა, წაგებულებმა ისეთი აგინეს, ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ერთად აღებული არ გაგვიგია. ამასობაში „შევარდენს" ბორჯღალოსნების ავტობუსიც მოადგა და გასახლედისკენ მიმავალმა ბავშვებმა სართულებიანი გინებით რომ ჩაუარეს მორაგბეებს, ესენი გაკვირვებულები მიაშტერდნენ ყიამყრალებულ ბავშვებს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა იქვე დაუსვა „დიაგნოზი" — ასე ესენი სულ წააგებენოა.

სანამ უფროსები ითელებოდნენ, 21-წლიანებმა გახურებაც მოასწრეს და ლალობა-ოხუნჯობაც.

მალხაზ ჭეიშვილის მოთხოვნით სპარინგისას ახალგაზრდები უფროსებს ზურგსუკან ფეხით უკიდებდნენ ბურთს. ამით ბორჯღალოსნები თავისი ნახევრიდან ბურთის ხელით ამოტანას ამუშავებდნენ. ეს კომპონენტი კი ნაკრების ყველაზე სუსტი წერტილი იყო რუმინეთში. ფეხჩუბინი და ჩაუქი პორტუგალიელებიც ამ ტაქტიკით შეეცდებიან ჩვენების კონტრშეტევაზე დაჭერას. ბორჯღალოსანთა რაგბობით ალბათ მწვრთნელებიც კმაყოფილი დარჩნენ, რაკი „ძალიან კარგია" და „ხოშიანია", მათგან ხშირად ისმოდა.

ნაკრების ვარჯიშის საყურებლად მისულ მცირეოდენ მოსეირეებსაც გაუმართლათ — ბოლომდე კონტაქტი და კაცისკვლა არ ყოფილა, მაგრამ აბუსერიძის ფარული და გიორგაძის ზურგსუკანა პასებით გვარიანად იხალისეს.

გუშინდელი საღამოს ვარჯიში გაუცდა ბორჯღალოსანთა ძირითად ბურჯ დავით ზერაქაშვილს, რომელიც პირადი საქმეების გამო გაეთავისუფლა მწვრთნელებს. ბესიკ უდესიანის შემცვლელ გიორგი ჩხაიძეს კი გვიან ღამით ელოდნენ საფრანგეთიდან.

„პორტუგალია ბოლო მთავარი მეტოქეა, რომელსაც აუცილებლად უნდა მოვუგოთ. წაგების უფლება არ გვაქვს. რა თქმა უნდა, რთული მატჩი იქნება, მაგრამ საკუთარ მოედანზე ქომაგის მხარდაჭერით მეტოქის წინააღმდეგობის გადალახვა ერთიორად გაგვიადვილდება. მთავარია, ხალხი მოვიდეს სტადიონზე და როგორც სჩვევია, ისე გვიქომაგოს" — გვითხრა ბორჯღალოსანთა კაპიტანმა ილია ზედგინიძემ.

ოპტიმისტურადაა განწყობილი ჩვენების ერთ-ერთი მწვრთნელი დავით ჩავლეიშვილიც: „სტატისტიკით მეტოქე გვჯობია, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ბოლო სამი მატჩი უიღბლობით და ახალი გუნდის ჩამოყალიბების პროცესში წავაგეთ. სწორედ თაობათა ცვლისა და გუნდის ფორმირების ბრალი იყო, ყოველთვის ბოლო წუთებზე რომ ვაგებდით. ახლა ნაკრებმა სახე მიიღო, შეძლებისდაგვარად დაბალანსდა — უპირატესობა ჩვენს მხარესაა."

რაც შეეხება პორტუგალიელებს, ისინი თბილისში გამთენიისას უნდა ჩამოფრენილიყვნენ. გუშინ მათი რაგბის ფედერაციის ვებ-გვერდზე კვლავ არ იყო ინფორმაცია, რა შემადგენლობით ჩამოვიდოდნენ. ერთი კია, პორტუგალიელთა პროფესორი მწვრთნელი ტომაშ მორაეში იქაურ ჟურნალისტებთან დღედალამ წუწუნებს, ნაკრები კი არა ლაზარეთი მყავსო.



მოოხუნჯე ახალგაზრდობა

**ბაჩო სვანიძე**



# გახსოვდეს ზვიადაური
## ძიუდოისტებმა სამი თქვეს

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ბოლო თვეებში დანერგილ ტრადიციას არ ღალატობს. მსოფლიოს თასის შემდგომი და მორიგი მსოფლიოს თასისწინა პრესკონფერენცია გუშინაც გამართა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის დარბაზში მედიას ფედერაციის თავკაცები, ნაკრების სამი ნევრი და დეპარტამენტის თავმჯდომარე დაუხვდნენ



ნესტორ ხერგიანი



ზაზა კედელაშვილი



დავით ქევხიშვილი

*ყველაზე სიტყვაუხვი მთავარი მწვრთნელი გახლდათ. შოთა ხაბარელმა წლევანდელი სეზონის უკვე ჩავლილი ნაწილიც შეაფასა, შეგირდებზე დაწვრილებითაც ისაუბრა და საევროპო სამზადისზეც თქვა:*

— მსოფლიოს თასების ერთ-ერთი მთავარი დატვირთვა ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობის გამოკვეთაა. ნახევარ გზაზე მეტი გავიარეთ და ბევრი რამის დანახვაც მოვასწარით. პრაღის ტურნირზე ძლიერი გუნდით ჩავედით და იქაურმა შედეგებმა უძლიერესი შემადგენლობა 80 პროცენტით დაგვანახა. წინ კიდევ სამი მსოფლიოს თასია. სერია ლისაბონში დასრულდება და საბოლოოდაც მაშინ ჩამოვყალიბდებით.

...პირველ სამ წონაში ფაქტობრივად ყველაფერი გარკვეულია. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ნესტორ ხერგიანი (60 კგ), ზაზა კედელაშვილი (66 კგ) და დავით ქევხიშვილი (73 კგ) საევროპო გუნდში იქნებიან. სამივემ დაამტკიცა თავისი უპირატესობა. განსაკუთრებით ქევხიშვილის ჩეხურ გამოსვლას გამოვარჩევ. გია ნაცვლიშვილის დახმარებით მან მკურნალობის სრული კურსი ჩაიტარა, ბოლომდე გამოჯანმრთელდა და ისე აჭიდავდა, აღფრთოვანებულები დავრჩით.

...81 კილოგრამში ჩეხეთში გრიგოლ მამრიკიშვილი და გიორგი ბაინდურაშვილი წავიყვანეთ და ორივეთი კმაყოფილები დავრჩით. მამრიკიშვილის ნაკლი ადრე უყურადღებობის გამო დაშვებული უნებლიე შეცდომები იყო. ეს კომპონენტი აშკარად გამოსწორებული აქვს, პრაღაში ამ მხრივ უშეცდომო იყო. ბაინდურაშვილი ახალგაზრდა და ნიჭიერი სპორტსმენია. ჩეხეთში ხელი სტკიოდა, მაგრამ ულამაზესი ბრძოლები მოიგო, თან ისეთებთან, ძიუდოში ამინდს რომ ქმნიან.

უდიდეს კონკურენციას ველით 90 კილოგრამში. ირაკლი ცირეკიძემ სეზონი მშვენივრად დაიწყო, თუმც წინა შეჯიბრებაზე უკეთესი იყო, ვიდრე ბოლოს. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ზვიადაურია დასაბრუნებელი. ლისაბონში ორივეს ვაჭიდავებთ. 100-ში ჯერჯერობით ევროსაგზურთან ყველაზე ახლოს გიორგი ყიზილაშვილი დგას. მან ჩეხეთში ბრინჯაო აიღო. უფრო წინაც წავიდოდა, რომ არ დაეჩაგრათ.

მძიმე წონაში ლაშა გუჯეჯიანს და ზვიად ხანჯალიაშვილს თანაბარი შანსი აქვთ. პრაღამ ბევრი ვერაფერი დაგვანახა. ვერც ერთმა ვერ შეძლო ძლიერად ჭიდაობა.

...დავით მარგოშვილისთვის ევროსამზადისი ფაქტობრივად დასრულებულია. პრაღაში ისეთი ტრავმა მიიღო, სავარაუდოდ, შემდეგ ტურნირებსაც დააკლდება და მოსამზადებელ შეკრებებსაც. მასზე უდიდეს იმედებს ვამყარებთ, მაგრამ ტრავმის წინაშე ყველა უძლურია.

*ხაბარელის გარდა მსოფლიოს თასები დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურმა და ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმაც შეაფასეს. აზრი ერთი იყო — ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, გამოჩნდა ნიჭიერი ახალი თაობა და შესაბამისად უკეთესი მომავლის იმედი.*

**ოთარ მაღლაკელიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge